მესხეთის უნივერსიტეტი

№9-10 (291) ნოემბერი-დეკემბერი, 2024 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

სიყვარულისა და ერთგულების გულმხურვალე ქომაგი

მივესალმები ჩვენს მკითხველს. გილოცავთ ახალ 2025 წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ერთობას, მშვიდობას, სიყვარულსა და წარმატებას. ახალი წელი ყოფილიყოს სიახლეებით, პოზიტიური ემოციებითა და გამართლებული იმედებით აღსავსე. მჯერა, რომ ეს იქნება გულით ნატარები ოცნებების ასრულების წელი.

გთავაზობთ წლის შემაჯამებელ ინტერვიუს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ მაკა ბერიძესთან.

– მოგესალმებით, ქალბატონო მაკა. ეს ის შეხვედრაა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში მოუთმენლად ველით. რა იყო უნივერსიტეტის მთავარი მიღწევები მიმდინარე წელს?

– მოგესალმებით. პირველ რიგში, მსურს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს, თანამშრომელს, ჩვენს თანაქალაქელებს, ჩვენი სამშობლოს თითოეულ მოქალაქესა და მსოფლიოს მივულოცო ახალი 2025 წელი. ვუსურვო მშვიდობა, წარმატება, ერთობა.

სიმართლე გითხრათ, დიდი იმედებით ვუყურებ 2025 წელს. თითოეული წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ერთგვარი გამოწვევაა იმიტომ, რომ ვცხოვრობთ ისეთ რეალობაში, სადაც თუნდაც მიღწეული დიდი წარმატება არასდროსაა საკმარისი. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, არასდროს არის სწორი, დასჯერდე მიღწეულ წარმატებას და გაჩერდე, რადგან ამ ძალიან სწრაფად ცვლილებად სამყაროში, და ეს ცვლილებები განათლების სისტემას განსაკუთრებით ეხება, გაჩერება ჩამორჩენას, უკუსვლას ნიშნავს. ამიტომ, პირველ რიგში, როდესაც ვფიქრობ, შევაფასო გავლილი 2024 წელი, ჩემს თავს ვეკითხები, იყო თუ არა განვითარება, პროგრესი და ვფიქრობ, რომ გასული წელი ნამდვილად ემსახურებოდა უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებას. როგორც წესი, საუნივერსიტეტო ცხოვრების თავისებურებებიდან გამომდინარე, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. აი, ასეთი იყო პროგრამების მომზადება სააკრედიტაციოდ. 2024 წელს ჩვენ ვეზიარეთ სერიოზულ სიახლეს – პირველად საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობით, დაიშვა სამწლიანი საბაკალავრო პროგრამები. ჩვენს უნივერსიტეტს ეს ცვლილება ორი მიმართულებით შეეხო, საჯარო მმართველობა და ბიზნესის ადმინისტრირება. მოვამზადეთ სრულიად ახალი, სამწლიანი საბაკალავრო პროგრამები. ჩვენი სტუდენტები სამ წელიწადში მიიღებენ ბაკალავრის ხარისხს, რომელიც ზუსტად უტოლდება ოთხწლიან პროგრამებს. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა უნივერსიტეტისთვის, ჩვენც გულისყურით დაველოდებით პროგრამების აკრედიტაციას და სიამაყით მსურს ვთქვა, რომ წინასწარი დასკვნა ჩვენთვის უკვე ცნობილია, დასკვნა კი სასიხარულოა. მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. წინ აკრედიტაციის საბჭოს სხდომა გველის და მაქვს დიდი მოლოდინი, რომ ორივე პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას. აქვე დავაზუსტებ, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა გვექნება როგორც სამწლიანი, ასევე ოთხწლიანი და ეს ხდება იმიტომ, რომ არ შევუშალოთ ხელი იმ სტუდენტებს, რომლებიც ახლა სწავლობენ მოქმედ პროგრამებზე. განათლების მიმართულებით ჩვენ რეაკრედიტაციაზე წარვადგინეთ დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული 300 კრედიტიანი პროგრამა.

გაგრძელება მე-2 გვ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი – ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებისთვის

10 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი, პროფესორი **თინათინ ბოლქვაძე,** ფილოლოგიის დოქტორი **ნათია კენჭიაშვილი** და დოქტორანტი **ნინო ნოზაძე** ეწვივნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები, რომლებიც ამჟამად ქართული ენის მომზადების ერთწლიან პროგრამაზე სწავლობენ ან უკვე დაასრულეს ეს პროგრამა და სხვადასხვა სპეციალობა აირჩიეს. შეხვედრა გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე:**

გაგრძელება მე-3 გვ.

გიორგი ბუცხრიკიძე – დასახულ მიზნებსა და გეგმებზე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ჰყავს – პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე. გასულ წლებში ბატონი გიორგი უნივერსიტეტში არაერთ მნიშვნელოვან პოზიციას იკავებდა. იგი გახლდათ თსუ მესხეთის ფილიალში მიწის მართვის ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, მეთოდსაბჭოს წევრი, მიწათსარგებლობის სამეცნიერო კათედრის გამგე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი; იკავებდა ისეთ მნიშვნელოვან თანამდებობებს, როგორიცაა – საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამცხე-ჯავახეთის მხარის სამეცნიერო ცენტრში სწავლული მდივანი, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მხარის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი და სხვა. 2016 წლიდან დღემდე გახლავთ ახალციხის მუნიციპლიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2022 წლიდან დღემდე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მრჩეველთა საბჭოს წევრი. არის არაერთი ჯილდოს და საპატიო წოდების მფლობელი.

გაგრძელება მე-4 გვ.

მასტერკლასი ვეტერინარიის მიმართულებით

გვ.8

„შემოქმედებაში განფენილი სულიერება"

გვ.11

ვეტერინარიის მიმართულებით ახალი ინოვაციური მეთოდები ინერგება

გვ.5

„დამალული ნიჭის" აღმოჩენა

გვ.6

„თეატრის ფარდის გახსნა ცხოვრების ჯარის გახსნასა ჰგავს"

გვ.12



„ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან"

წიგნის წარდგენა ავტორის გარეშე

გვ.7

გუდავაძე-ჰატარკაციშვილის ფონდის ვიზიტი

გვ.3

სიყვარულისა და ერთგულების გულმხურვალე ქომაგი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს სერტიფიკატს და რომლის დახმარებითაც იღებს უფლებას, იმუშაოს სკოლაში შესაბამისი სტატუსით, მოვამზადეთ ახალი პროგრამა ახალი მოდულებით. ეს სიახლე კი ჩვენი რეგიონის სპეციფიკას ასახავს. ცალ-ცალკე ჩავრთეთ ბუნებისმეტყველების, ქართულის, მათემატიკის, ინტეგრირებული დაწყებითი კლასის მასწავლებლის მომზადების, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის მოდულიც. მაშასადამე, ჩვენ მოვამზადებთ ქართულის, მათემატიკის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო საგნების, უცხო ენების მასწავლებლებს.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ინიციატივების განსაკუთრებული მხარდაჭერა და უდიდესი სურვილი, უნივერსიტეტმა შექმნას მექანიზმები, რათა ეს მხარდაჭერა იყოს არა რექტორის კეთილი ნება, არამედ მექანიზმი არსებობდეს, რომლითაც მხარს დავუჭერთ სტუდენტთა ინიციატივებს.

მსურს, აფხაზური ცენტრის წარმატებებს შევეხო და აბსოლუტურად გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ აფხაზურმა ცენტრმა თავიდან ბოლომდე შეცვალა საუნივერსიტეტო განათლების ხედვა. ამიტომ, მე, როგორც რექტორი, ვემზადები იმისთვის, რომ აკადემიურ საბჭოს რამდენიმე ინიციატივა წარვუდგინო. აფხაზური ცენტრის სტუდენტებმა და მათ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ გზავნილებსა და შინაარსს, რაც უნდათ ჩვენს ახალგაზრდებს, სხვაგვარად რომ გითხრათ, მოიცავდეს სამშვიდობო განათლების ელემენტებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ სამშვიდობო განათლება გაიწეროს როგორც ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია, შესაბამისად ის იქცეს სტრატეგიული გეგმის კონკრეტულ ამოცანებად და პირდაპირ დაიწეროს, რათა მომავალი ექვსი წლის განმავლობაში ამ უნივერსიტეტის ყველა ხელმძღვანელმა გაიაზროს უნივერსიტეტის მისია ამ კუთხით და აიღოს ვალდებულება – სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი კონკრეტული ამოცანები შეასრულოს.

შემდეგი საკითხი გახლავთ ის, რომ 2024 წელს ჩვენ დავასრულეთ ახალქალაქის პროფესიული კოლეჯის შენობის რესტავრაცია და უკვე მოგვიწევს საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა როგორც უმაღლესი განათლების, ისე პროფესიული განათლების კუთხით. დავიწყეთ მზადება ამ პროცესებისთვის და ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან შრომატევადი, მაგრამ, ამავე დროს, სასიამოვნო შედეგის მომტანი.

– რომელი ინიციატივა ან პროექტი გამოირჩეოდა განსაკუთრებული წარმატებით?

– მსურს, ორ ნაწილად გავყო ეს ინიციატივები. ერთი – პროფესურის მიმართულებით, მეორე – სტუდენტური მიმართულებით. უნივერსიტეტს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ჰორიზონტი ევროპის ოფისის ჩართულობით, ჰქონდა სერიოზული წარმატებები. ჰორიზონტი ევროპის ოფისში წარდგენილი პროექტი დაფინანსდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენი პროფესურა, ახალგაზრდა მკვლევრები ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი ეხებოდა ჩვენი კუთხის შესწავლას; გამოიცა არაჩვეულებრივი წიგნი, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს ეხებოდა, იყო ონომასტიკური მნიშვნელობის. პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი მერაბ ბერიძე. ვფიქრობ, რომ ეს პროექტები იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ისინი მიუთითებს პროფესორების წარმატებას, უკავშირდება მეცნიერების განვითარებას.

მეორე – ძალზედ მნიშვნელოვან ნაწილად მიმაჩნია სტუდენტების მიერ მშვიდობის ჯილდოს მოპოვება, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ჩვენს სტუდენტებს საშუალება მიეცათ, გაეჟღერებინათ თავიანთი სამშვიდობო გზავნილები სტრასბურგში, მსოფლიო დემოკრატიის ფორუმის მიმდინარეობისას. ეს ძალიან სასიხარულო და საამაყოა.

– ქალბატონო მაკა, როგორ შეაფასებდით სტუდენტების ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ?

– თქვენ მაიძულებთ, რომ ვაქო ჩვენი სტუდენტები და ძალიან კარგად დასმული კითხვაა (სახეზე სიყვარულით სავსე ღიმილი დასთამაშებს ქალბატონ მაკას და მისი მზერიდან ვხვდები, რომ დიდი სიამაყით უნდა დაიწყოს საუბარი. რ.ს.) მსურს, დასაწყისშივე მოგახსენოთ, რომ თუკი მაქვს სურვილი, მოტივაცია, ძალა იმისა, რომ ვიფიქრო განვითარებაზე, თუკი ვსხდებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროფესურა და ვსაუბრობთ, რომ არ შეიძლება ჩვენი გაჩერება, მთავარი „დამნაშავეები“ ამ ყველაფერში სწორედ სტუდენტები არიან. ისინი არიან არაჩვეულებრივი ახალგაზრდები. მესხური ხასიათის გამო, შესაძლებელია, ისინი თავიანთ საოცრად ღრმა პატრიოტიზმს, დიდ ადამიანურ ღირებულებებს ნაკლებად ამჟღავნებენ ხოლმე, მაგრამ მათთან ყველა შეხვედრა მე მაძლევს საშუალებას, ხმამაღლა ვთქვა, რომ ამ ახალგაზრდებისთვის, ამ თაობისთვის ღირს, დაიხარჯო ბოლომდე. დარწმუნებული ვარ, საუნივერსიტეტო ღონისძიებებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობა კიდევ უფრო აქტიური იქნება, ჩვენ რომ მათ მეტი პირობა შევუქმნათ, მარტივი საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც, გულწრფელად გითხრათ, არ აძლევს სტუდენტს საშუალებას, უნივერსიტეტში უფრო მეტი დრო გამოიყენოს, გარკვეულ პრობლემას უქმნის მათ. დარწმუნებული ვარ, ათჯერ მეტი სტუდენტი ჩაერთვებოდა ღონისძიებებში, ჩვენ რომ შეგვეძლოს მათი უზრუნველყოფა საერთო საცხოვრებლით. თუმცა, გაჩნდა მუნიციპალური ტრანსპორტი ახალციხეში და მაშინვე გაჩნდა სტუდენტების თხოვნა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში ასე იყოს, რადგან მათ გადაადგილების საშუალება სჭირდებათ. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ეცდება, რომ გამოიყენოს თავისი შუამავლობა ამ საკითხის მოგვარებისას. ყველაზე მთავარია ძალიან ღირსეული დამოკიდებულებები. გაგიმხელთ და გეტყვით, ძალიან ხშირად ჩემს მოლოდინსაც აჭარბებს ხოლმე ეს დამოკიდებულებები. ჩვენი თითოეული სტუდენტის სულში ნამდვილად იმალება ის ძალიან ძვირფასი რამ, რასაც უნდა დაეყრდნოს საქართველოს მომავალი. უბრალოდ, ჩვენ გვჭირდება ამის აღმოჩენა. ვისურვებდი მეტ აქტიურობას, თუმცა ის, რაც აკლია, ვიცი, ხდება ობიექტური მიზეზების გამო.

– რა ძირითადი გამოწვევები შეხვდა უნივერსიტეტს და როგორ მოახერხეთ მათი მოგვარება?

– უნივერსიტეტის ავტორიზაცია არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რადგან ავტორიზაციაა სწორედ ის, რისი საშუალებითაც მოიპოვებ უფლებას, იყო საგანმანათლებლო დაწესებულება. 2025 წლის აგვისტომდე ჩვენ უნდა წარვადგინოთ ორი საავტორიზაციო განაცხადი, როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული სასწავლებლის მიმართულებით. ამაზე დიდი გამოწვევა უნივერსიტეტს არ აქვს. ჩვენ, დეკემბერში, ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელთან ბატონ გიორგი ბუცხრიკიძესთან ერთად შევხვდით ადმინისტრაციას და ვთქვით, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ერთად – უნივერსიტეტის პროფესურას, სტუდენტებს, სამოქალაქო საზოგადოებას, შეგვიძლია ამ პროცესის ღირსეულად გავლა, ისე, როგორც ეკადრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სტანდარტები მაღალი და ევროპულია. მათ სჭირდებათ არა მხოლოდ მცდელობა, არამედ დაკმაყოფილება. ჩვენ დავპირდით სტუდენტებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დედაქალაქიდან, ცენტრიდან შორს სწავლობენ, მათ ზუსტად იმავე სტანდარტების ევროპული განათლება ექნებათ, როგორც მთელ საქართველოში.

– ახალი სასწავლო წლიდან რა იმედებითაა გარემოცული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი?

– ერთ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენაზე გეტყვით, რომელზეც საჯაროდ არ მისაუბრია აქამდე. 2025 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსტეტის 35 წლის იუბილეა. ვაცხადებთ საიუბილეო წელს! ჩემი პირველი სურვილი არის ის, რომ თითოეულმა სტუდენტმა, თანამშრომელმა და პერსონალმა იგრძნოს, რომ ეს მისი დღესასწაულია, ეს თითოეული ადამიანის ბედნიერბაა. დიდი სურვილი გვაქვს, წელს განსხვავებული იყოს კურსდამთავრებულთა ცერემონიალი. ქალაქმა, რეგიონმა იგრძნოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება 35 წლის შემდეგაც აგრძელებს თავის სქმიანობას წარმატებით. ამ წელს ყველა ღონისძიებას ჩვენთან ერთად სტუდენტები დაგეგმავენ, მათ სურვილებს, გეგმებს, რჩევებს, მოტივაციას, ტრადიციულად, გავითვალისწინებთ. ყველაზე დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ მშვიდობით დაასრულებს 2025 წელს, მეტიც მსოფლიოში დასრულდება ეს კონფლიქტები და ჩვენ გვექნება განწყობა ზეიმისა. თუ დავუჯერებთ ჩვენი აფხაზური ცენტრის სტუდენტებს, თავს ნებას მივცემ და თამამ სურვილს ვიტყოდი – ძალიან დიდი სურვილი გვექნება, რომ აფხაზურ ცენტრს უნივერსიტეტის 35 წლის იუბილის მოსალოცად აფხაზი ახალგაზრდები ეწვივნენ და მათთან ერთად აღვნიშნოთ ეს დღე. უნივერსიტეტის 2025 წლის სლოგანი იქნება „განათლება – მშვიდობისთვის!“.

– ეს ყოველივე ისეთი შთამაგონებელი და იმედისმომცემია!... ქალბატონო მაკა, პრობლემები, რომელზეც ყველაზე ხშირად მოგმართავდნენ სტუდენტები.

– ეს პრობლემები მრავალმხრივია. პირველ რიგში, სერიოზულ გამოწვევად რჩება ის, რომ ერთდროულად შეათავსო დასაქმება და სწავლა, ძალიან ჭირს. ხშირად მომმართავენ სურვილით, რომ მაქსიმალურად გვქონდეს მხარდამჭერი ღონისძიებები. მეორე მხარეა ის სპეციალობები, რომლებიც არ ფინანსდება. სტუდენტებს ფინანსურ საკითხებზე მომართვა ხშირად უწევთ. ჩვენ გვაქვს ასეთი ხედვა – ვამზადებთ სტუდენტებს დასაქმებისთვის, ამიტომ ცოტა არალოგიკურია, თუკი ვეტყვით, რომ სამსახურს თავი დაანებონ და მხოლოდ სწავლაზე ორიენტირდნენ. ჩვენ რეგულაციები მაქსიმალურად შევამსუბუქეთ. უკვე დიდი ხანია, მოხსნილია დასწრების სავალდებულო კომპონენტი, სტუდენტს აქვს უფლება, ისარგებლოს ნებისმიერ ლექტორთან ერთსაათიანი შეხვედრებით, გაცდენილი საკითხების ასანაზღაურებლად როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ სივრცეში. მუდლის პროგრამა ბევრად უფრო აქტიურად ამუშავდა. დისტანციური დავალებებით ამ პრობლემის წინაშე მდგარ სტუდენტებს შეეძლებათ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. დაფინანსებას რაც შეეხება, აკადემიურმა საბჭომ, წარმომადგენლობითი საბჭოს მხარდაჭერით, მიიღო დადგენილება, რომ სტუდენტს არ ვუჩერებთ სტატუს გადაუხდელობის გამო გამოცდებამდე, მაქსიმალურად გადავუვადეთ, ფაქტობრივად, სემესტრის ბოლო დღემდე. დანარჩენი საკითხები, რომლებიც რექტორის საათზე გაჟღერდება ხოლმე, არის მიმდინარე და ძალიან მალე მოგვარებადი, მაგალითად, ბიბლიოთეკის პრობლემები, ელექტრონიგნები, ურთიერთობების საკითხი (სტუდენტები ითხოვენ უფრო მაღალი სტანდარტის ურთიერთობებს), მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მასთან წვდომის თემები. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით ამ სა-

→

კითხებს და ვეძებთ გამოსავალს.

– ქალბატონო მაკა, თქვენ შეგიძლიათ, ბევრად მშვიდად გეძინოთ ღამით, ნაკლებად გეტკინოთ გული, იშვიათად თმობდეთ საკუთარ სურვილებს, არავის გათვალისწინება გიწევდეთ გადაწყვეტილებებისას... რომ არ იყოთ რექტორი. დღევანდელი გადმოსახედიდან ყველაფერი რომ თავიდან იწყებოდეს, კვლავ იქნებოდით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, კვლავ გაივლიდით ამ გზას?

– ეს ჩემი რექტორობის ბოლო წელია. ის, რომ რექტორი აღარ ვიქნები, ამაზე მიფიქრია, მაგრამ თქვენი კითხვის პასუხად რომ ვიკეკლუცო და ვთქვა, ეს ყველაფერი იყო მარტივი, გულწრფელი არ ვიქნები. სულს, გულს, გონებას, ემოციას, დროს, ცხოვრებას, საკუთარი პიროვნული დამოკიდებულების უკან დახევას, ბევრ დანაკარგს... ამ ყველაფერს, ბევრ დადებითთან ერთად, ითხოვს ეს საქმე. ყველაფერი რომ უკან დაბრუნდეს, მე აუცილებლად გავხდებოდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, კვლავ ასე გადავწყვეტდი. მაგრამ ყველაფერს ისე ვიზამდი თუ არა, როგორც გავაკეთე? ძალიან ბევრ საკითხში საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი არ გახლავართ, სულ მაქვს დანაკლისის განცდა. შევძლებდი თუ არა იმ ყველაფრის გამოსწორებას, რაც უკეთესად შეიძლებოდა ყოფილიყო? ამაში ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ სიამოვნებით, რომ დაბრუნდეს უკან დრო, იმავეს გადავწყვეტდი და ვეცდებოდი, ამ გამოცდილებით საკუთარ შეცდომებზე მესწავლა.

– და ბოლოს, ცხოვრებაში ყველაზე მეტად გვჭირდება...

– ორი რამ არის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი – სიყვარული და ერთგულება. ეს ეხება ადამიანებსაც და საქმესაც. თუ სიყვარული არ არის, მაშინ სიძულვილთან გვაქვს საქმე. უნდა გიყვარდეს ადამიანები, აღარ ვსაუბრობ ყველაზე მთავარ – უფლის სიყვარულზე. როდესაც ვინმე გძულს, შენ საკუთარ თავს სჯი. არცერთ შემთხვევაში უნდა დასაჯო საკუთარი თავი სიძულვილით! როდესაც მე ჩემს გონებაში ვებრძვი ამ განცდას, ვთვლი, რომ ჩემს თავს სიკეთეს ვუკეთებ. ვამბობ ერთგულება – ამით ხაზი უნდა გავუსვა იმას, რაც ჩემთვის მიუღებელია და რასაც ვერასდროს გავიგებ, ღალატს. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, რომ ადამიანებს ურთიერთობაში არ უნდა შევუქმნათ ისეთი ერთგულების განცდა, რომელსაც ვერ გავუმართლებთ, რომ ვერ შევასრულოთ და მოღალატეებად ვიქცეთ. თუ ურთიერთობა სიყვარულითა და ერთგულებითაა სავსე, მას ვერაფერი დაუდგება წინ, ყველა გზა მივა ბოლომდე. ზოგჯერ თვითონ საქმეც არ გპატიობს, თუ უღალატე...

– უღრმესი მადლობა გულახდილი პასუხებისთვის. დაე, ჩვენი ცხოვრება სავსე იყოს სიყვარულითა და ერთგულებით.

ინტერვიუერი
რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი – ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

დღეს გამორჩეული დღეა. მას განსაკუთრებულობას მატებს სწორედ ის, რომ უნივერსიტეტს ესტუმრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. გვყავს სტუმრები, რომელთა საქმიანობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომლის საქმიანობაც ყველაზე ახლოს დგას ჩვენი უნივერსიტეტის მისიასთან. აბსოლუტურად ვიზიარებთ ამ ინსტიტუციის სტრატეგიას. დიდი მადლობა მათ იმ გადაწყვეტილებისთვის, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ესტუმრნენ.

სახელმწიფო ენის წინაშე მდგარი პრობლემებისა და დეპარტამენტის მუშაობის შესახებ ისაუბრა პროფესორმა **თინათინ ბოლქვაძემ.** მან მადლობა მოახსენა სტუდენტებს მობრძანებისათვის; აღნიშნა, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის ორგანიზაცია, რომელიც სწავლობს საქართველოში გავრცელებულ ენებს, მათ იერარქიას, ავითარებს პოლიტიკას, რომლითაც ამ ენებმა უნდა იცხოვრონ. ისაუბრა სახელმწიფო ენისა და რეკლამის კანონებზე. მოიტანა რეკლამის არასწორად გაკეთებული მაგალითები: **გვაქვს სურვილი, რომ სახელმწიფო ენისა და რეკლამის კანონები ერთნაირად გასწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს. ბევრი ექსპერტი მუშაობს ამ საკითხზე. ერთია, ჩვენ რას ვწერთ, მეორეა, ცხოვრებაში როგორ ხორციელდება ეს საკითხი.**

ქალბატონმა თინათინმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა პირადობის მოწმობებში სახელისა და გვარის ჩაწერასთან დაკავშირებით, ისაუბრა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე: **ქართული ენა უნდა იყოს ყველა ადამიანის ცხოვრების ნაწილი. ჩვენ 1+4 პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა იმიტომ ვითხოვეთ, რომ გვინდა მათ გამოვკითხოთ, თუ როგორ სწავლობენ ქართულს, რამდენად შეუძლიათ საუბარი ქართულად, რისი გაუმჯობესება სურთ. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს რამდენად გამოადგათ ერთი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა, რომ შემდგომში მეცნიერების სხვადასხვა დარგები ისწავლონ. არის საკმარისი ერთი წელი ამისთვის?**

პროფესორმა ისაუბრა ქართული ენის სახელმძღვანელოებსა და ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ასევე, უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა წიგნები – **„სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი“,** – ნაწილი მესამე და **„ანბანთქება.“** აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია; სტუდენტებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მოხდება 1+4 პროგრამის შესწავლა, მისი გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, სრულყოფილად დაეუფლონ სახელმწიფო ენას და აირჩიონ სასურველი პროფესიები.

ლიკა ზაზაშვილი

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის ვიზიტი

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის წარმომადგენლები – ფონდის გენერალური დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი** და ქალბატონი **მაია ჩიტაშვილი,** 19 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ. აღსანიშნავია, რომ ფონდი უნივერსიტეტთან 2020 წლიდან თანამშრომლობს და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მხარდასაჭერად ახორციელებს სასტიპენდიო პროგრამას.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრა გახსნა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა.**

სტუმრებს მიესალმნენ და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადეს რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** დამსწრე საზოგადოებას სტუდენტების საერთაშორისო დღე მიულოცა და სტრასბურგში ახალგაზრდულ კონფერენციაში მონაწილეობის შთაბეჭდილებები გაუზიარა ქართული ფილოლოგიის IV კურსის სტუდენტმა, აფხაზური ცენტრის დირექტორმა **რიმა სუდაძემ.** ფონდის ათმა სტიპედიანტმა საკუთარი ემოციები გაუზიარეს შეხვედრის მონაწილეთ. ფონდის ხელმძღვანელმა პირებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ხანგრძლივი თანამშრომლობის პერსპექტივას. აღინიშნა, რომ ფონდის წარმომადგენლები არა მხოლოდ სასწავლო წლებში, არამედ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც ადევნებენ თვალს სტუდენტთა საქმიანობას და მხარს უჭერენ მათ. სწორედ ამ მიზნით, უნივერსიტეტში სტუმრობამდე, ფონდისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის სომხურენოვანი საჯარო სკოლის ბილინგვურ მასწავლებელს **თეონა თათოშვილს** გაკვეთილზე დაესწრნენ. დამსწრეებმა აღნიშნეს საგაკვეთილო პროცესის უმაღლეს დონეზე წარმართვის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს არჩევითი მოდული **„სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება“** დაწყებითი განათლების მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 კურსის სტუდენტებისთვის. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებმა – **რუსუდან პაქაშვილმა, ნათია ამბროლაძემ, თორნიკე ბერიძემ** და **ნინო ინასარიძემ** წარმოადგინეს პრეზენტაციები სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების მნიშვნელობაზე დაწყებითი განათლების მასწავლებლებისათვის.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ფონდის გენერალური დირექტორი, ბატონი **ზურაბ კერვალიშვილი,** რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებს წარმატებული სწავლისა და აქტიურობისათვის, ისაუბრა მასწავლებლის პროფესიის ხელშეწყობასა და განვითარებაზე.

ბატონმა ზურაბმა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ წამოწყებულ სასტიპენდიო პროგრამაში წარმატებით ჩართულობისა და ფონდის მხრიდან დაფინანსებულ პროექტებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური.

შეხვედრის დასასრულს, სტიპენდიატებმა საზეიმოდ მოაწერეს ხელი სასტიპენდიო ხელშეკრულებებს.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განათლების განვითარების საქმეში გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ შეტანილი წვლილის მნიშვნელობას. ასევე, აღინიშნა ქვეყნის განვითარების პროცესში მასწავლებლის როლის მნიშვნელობის შესახებ.

რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
სპეციალობის
მე-4 კურსის სტუდენტი

ინფორმაციები

● **6 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პედაგოგის – **სოფო ბერიძის** ხელმძღვანელობით, გასაცნობად ეწვივნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალათუმანის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

აბიტურიენტებს შეხვდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე მესამე კორპუსში (ახალქალაქი) **ვასილ მოსიაშვილი,** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური,** სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ლალი ბერიძე** და სტუდენტები. ისინი ახალგაზრდებს ესაუბრნენ უნივერსიტეტის ისტორიის, არსებული ფაკულტეტების და პროგრამების შესახებ.

აბიტურიენტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო (ე.წ. 1+4) პროგრამისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ.

შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ინფორმაციები
უნივერსიტეტის
***facebook-ის** გვერდიდან*

გიორგი ბუცხრიკიძე – დასახულ მიზნებსა და გეგმებზე

პირველი გვერდიდან

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებით, მიწის რეფორმის განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, ხანგძლივი, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოეცხადა მადლობა უნივერსიტეტში გაწეული შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გადაეცა მადლობის სიგელი უნივერსიტეტში ხანგძლივი მოღვაწეობისა და მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით; მიწის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გასულ წელს მიენიჭა ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, სტატიისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი. ბატონ გიორგის რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ბატონო გიორგი, გილოცავთ. ჩვენთვის, თანამშრომლებისთვის, არ ხართ უცხო პიროვნება – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მრავალწლიანი მოღვაწეობა გაკავშირებთ. როგორ გრძნობთ თავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ამპლუაში?

– მიუხედავად იმისა, რომ 25 წელია, უნივერსიტეტში ვმუშაობ, ამ თანამდებობაზე მოსვლას, მაინც, აღელვება ახლდა. მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურას ვიცნობ ძალიან კარგად, საქმის სპეციფიკა ვიცი, მაგრამ პასუხისმგებლობა საკმაოდ დიდია. აქედან გამომდინარე, ვღელავ. ვფიქრობ, დაუძლეველი არაფერია. რისი იმედითაც გავბედე და ამ საქმეს შევეჭიდე, ეს არის ჩემი ავტორიტეტი კოლექტივთან. თითოეულ წევრთან, დანყებული რიგითიდან დამთავრებული ხელმძღვანელობასთან, ყველასთან ნამუშევარი ვარ და მიცნობენ. იციან, მე ვარ ასეთი – მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვის მიმართაც. არ მიყვარს საქმის გადადება. თუ სჭირდება საქმეს სამი დღე, ხუთ დღეს ვაძლევ ადამიანს. არ მიყვარს უპასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტი ჩემთვის უცხო არ არის. ვიცი მისი პრობლემები, ვიცი სტუდენტებისა და პროფესურის სულისკვეთება. ერთად ყველაფერს შევძლებთ.

– შეხვდით ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სადაც რამდენიმე საკითხზე გაამახვილეთ ყურადღება. ერთ-ერთი საკითხი იყო ახალ საშტატო განრიგთან დაკავშირებით. ხომ არ იგეგმება რადიკალური ცვლილებები?

– სტრუქტურა – ეს არის ადმინისტრაციის პრეროგატივა. უკვე გამოკვეთილია მთლიანობაში ახალი საშტატო განრიგის კონტურები. თითქმის გასული ვართ ბოლოში, მაგრამ არსებობს წესი. გავდივართ კონსულტაციებს. ახალი წლის შემდეგ, ვფიქრობთ, თუ რამემ ხელი არ შეგვიშალა, გამოვაცხადოთ კონკურსი. ყველა სამსახურს შევხვდებით ინდივიდუალურად მე და ქალბატონი მაკა, უნივერსიტეტის რექტორი; განვიხილავთ თითოეულ რგოლში არსებულ სიტუაციას; წარმომადგენლობით საბჭოზე წარვადგენთ დასამტკიცებლად. შემდეგ გამოცხადდება კონკურსები. იქნება გარკვეული პირობები. გვაქვს გარკვეული მოსაზრებები. პირველ რიგში, ყურადღება მიექცევა კვალიფიკაციასა და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობას საქმის მიმართ. ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იქნება სიახლეები. არ მინდა წინსწრებით რაიმე ვთქვა. ეს ყველაფერი იქნება უნივერსიტეტის ხასიათიდან გამომდინარე.

– ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრის დროს გაამახვილეთ ყურადღება, ხელფასების საკითხს ეხებოდა. უნდა ველოდოთ ამ მხრივ რაიმე სასიკეთო ცვლილებას?

– რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, არცერთი დღე უნივერსიტეტიდან 22:00 საათზე ადრე არ გავსულვარ, სახლშიც ვაგრძელებდი მუშაობას ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ ნიუანსებთან გვაქვს საქმე. თუნდაც, ავიღოთ ჩვენი დაცვის საკითხი. დაცვა, რომელიც გვესმსახურება და რომელსაც 135 ათასს უხდიდნენ, დღეს ორნახევარჯერ მეტს ითხოვს. ეს ჩვენთვის შეუძლებელია. ამიტომ, ტენდერი გამოცხადდა ამ საკითხზე. ეს მაგალითია იმისა, რომ არის გარკვეული პრობლემური საკითხები.

რაც შეეხება ხელფასების მატებას, საერთო მასიური მატებისთვის ფინანსები არ გვაძლევს ამის საშუალებას. უნდა იყოს შემოსავალი. ჩვენ არ ვართ კომერციული ორგანიზაცია. ჩვენ ვართ დამოკიდებული სტუდენტებზე და გრანტებზე. აქედან გამომდინარე, ხელფასების მატებას ჯერ ვერ ვახერხებთ. ის მოვახერხეთ, რომ გაგვეცა გარკვეული თანხა დანამატის სახით. კარგი იქნებოდა, ყოფილიყო, ეგრეთწოდებული, მეცამეტე ხელფასი. ძალიან მარტივია, ხელი მოაწერო და გასცე ეს თანხა, მაგრამ გაზაფხულზე რომ შეგვექმნას ხელფასების გაცემის პრობლემა, რა პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ თანამშრომლებს?! ჩემს თავს ვერ მივცემდი უფლებას, ჯერ გაგვეხარებინა, შემდეგ საანებელი გამხდარიყო ეს გადაწყვეტილება.

– ბატონო გიორგი, მოკლედ რომ გვითხრათ, რა პრიორიტეტები იკვეთება თქვენს სამოქმედო გეგმაში?

– პირველი, რაც ჩემს სამოქმედო გეგმაში ავსახე, არის ის, რომ ვიზრუნო უნივერსიტეტის პროფესურისა და ადმინისტრაციის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, უნივერსიტეტის კეთილმოწყობაზე. ამისთვის საჭიროა, მოვიძიოთ როგორც სამინისტროდან, ასევე, სხვა გზებიდან გრანტები და ეს ყველაფერი შევასრულოთ. ასევე, ჩვენთან გახსნილია ვეტერინარიის სპეციალობა. ამ სპეციალობის განვითარებისთვის აუცილებელია, აშენდეს ვეტერინარული კლინიკა. დაწყებულია გარკვეული სამუშაოები, მაგრამ ჩვენი ძალებით ამას თავს ვერ გავართმევთ. ეს საკითხი სამინისტროშიც გავაჟღერე და ვიზრუნებ იმისთვის, რომ ეს საქმე სისრულეში მოვიდეს. ასევე, პირველი კორპუსი არის გადასახური, მოსაგვარებელია ეს საკითხი. რაც მთავარია, სამინისტროს წინაშე დაყენებულია საკითხი, რომ ახალციხეში სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საერთო საცხოვრებელი აშენდეს. პროფესორ-მასწავლებლებისთვის გვაქვს საერთო საცხოვრებელი, ნახევარი გარემონტებულია, ნახევარი გასარემონტებელი და მიყვანა უნდა ბოლომდე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. რაც შეეხება სტუდენტებს, ახალციხეში ბინების ქირაობა ძვირია, იმდენივე თანხაა, რაც დედაქალაქში. ამიტომ ხდება გადინება სტუდენტების რეგიონიდან. ვფიქრობ, რომ აქ საერთო საცხოვრებლის გახსნა დაამაგრებს სტუდენტებს ადგილზე და გაგვეზრდება სტუდენტების ოდენობა. ეს ნიშნავს შემოსავლების გაზრდას. ასევე, მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ვიზრუნოთ გრანტების მოძიებაზე.

მინდა, ახალქალაქზეც გავამახვილო ყურადღება. ახალქალაქში მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რომ დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ მეოთხე სასწავლო კორპუსი და აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით; გაკეთდა გათბობის ცენტრალური სისტემა; იქვეა საერთო საცხოვრებელი. ამიტომ მინდა ყველა გზა მოვიძიო, შევაწუხო ყველა, რომ მსგავსად გაკეთდეს ახალციხეშიც.

ერთ-ერთი, რაზედაც მინდა ყურადღება გამახვილდეს, უნივერსიტეტის სტამბის საკითხია. ჩვენს სტამბაში იბეჭდება პროფესორ-მასწავლებელთა წიგნები, საკონფერენციო მასალები და სხვა. ვფიქრობთ, კარგი იქნება, სტამბამ გარედან შემოსული შეკვეთებიც აიღოს. აქედან შემოსული თანხა მოვახმაროთ ჩვენი პროფესურის სახელმძღვანელოების გამოცემას. ასევე, თუ იქნება საჭირო თანხა, პროფესორებს, სტუდენტებს დავუფინანსოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (გზა, საკონფერენციო თემის დაბეჭდვა) და ეს იქნება მათთვის სტიმული. მინდა სამომავლოდ ვიზრუნოთ სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო სტიპენდიის გაზრდასთან დაკავშირებით. სურვილი დიდია, არის პრობლემებიც. მთავარია გამკლავება. იმისთვის მოვედი აქ, რომ მოვიძიო გზები და ეს პრობლემები დავძლიო.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს პირობების გაუმჯობესებისთვის. თუ გადავხედავთ განვლილ წლებს, უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე, ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული. უნივერსიტეტი დღითიდღე უმჯობესდება და, სწორედ, მისი გაუმჯობესებისათვის მინდა შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი.

ბოლოს მინდა ვთქვა – უნივერსიტეტი არის სტუდენტებისა და პროფესურის. ჩვენ, დანარჩენი, ვემსახურებით მათ და ეს უნდა გავითავისოთ ყველამ.

მინდა მივულოცო ჩვენს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს დამდეგი შობა-ახალი წელი. მინდა ვუსურვო წარმატებები! მშვიდობის წელი გვქონებოდეს! ოჯახებში ხვავი და ბარაქა არ მოგვკლებოდეს!

– თქვენც გილოცავთ, ბატონო გიორგი, დამდეგ ახალ წელს. მადლობა, საინტერესო ინტერვიუსთვის.

– გმადლობთ თქვენ.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

● **12 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატის ფინალი ფრენბურთში.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილის მფლობელი იჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაჟები გახდნენ.

გოგონათა შორის პირველი ადგილი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მენიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილი – ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს ხვდათ წილად.

● **17 ნოემბერი** გენიალური პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, 18 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის **ლალი ბერიძის** ინიციატივითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით პოეტის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება ორიგინალური ფორმატით მიმდინარეობდა. მთელი დღის განმავლობაში, **„მკითხველთა კლუბის წევრები“** სამეცნიერო ბიბლიოთეკაში კითხულობდნენ გალაკტიონის შემოქმედებიდან მათთვის საყვარელ ლექსებსა და ნაწყვეტებს პოეტის ბიოგრაფიიდან.

13:00 საათზე კი სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, გალაკტიონის შემოქმედების თაყვანისმცემლები ერთად შეიკრიბნენ და 1924 წელს დაწერილი, პოეტის უკვდავი ლექსი „ქარი ქრის“ როგორც ქართულ, ასევე, რამდენიმე უცხო ენაზე წაიკითეს.



ღონისძიება ლამაზი, ემოციური და დასამახსოვრებელი გამოვიდა.

● **18-22 ნოემბერს,** კავკასიის უნივერსიტეტში დასრულდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ინოვაციების და მეწარმეობის ოფისთან თანამშრომლობით დაგეგმილი ბუთქემფი – შესავალი ლინ სტარტაპ მეთოდოლოგიაში, რომელსაც უძღვებოდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კვლევის, ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულების ვიცე პრეზიდენტი **ბობ სმიტი.**

ინფორმაციები

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის 50-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა ხუთდღიან ბუთქემფში, რომელიც განხორციელდა სამეწარმეო კვირეულისა და კონკურენტული ინოვაციის ფონდის – CIF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისკენ“ (EEPIIQ)** ფარგლებში. პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორობით.

სტუდენტები გაეცნენ სტარტაპის შექმნის ყველა ძირითად ეტაპს. ბუთქემფი დასრულდა დემო დღით, სადაც 10-მა მონაწილე გუნდმა წარადგინა სტარტაპ იდეები, მათ შორის: Aldring, AI IA, EduMatch, FutureU, GREENHUNT, Grab'n Go, LUG-IT, UNITY Education, PetVision, ძენოვა.

● **25 ნოემბერს,** სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ETHICS-Erasmus+ პროექტის ფარგლებში მომზადებული მასიური, ღია ონლაინ კურსის-კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება (REI) პილოტირება.

კურსზე 58 რეგისტრირებული მონაწილიდან ესწრებოდა 48 მაგისტრანტი, დოქტორანტი და ახალგაზრდა მკვლევარი.

განხილული იქნა ორი თემა:

ntroducing a Research Ethics and Integrity (კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება-შესავალი)-ტრენერი, პროექტის მენეჯერი, პროფესორი **თინა გელაშვილი,** Guiding Doctoral Studies (სადოქტორო სწავლების სახელმძღვანელო), ტრენერი, პროექტის სტაფის წევრი, პროფესორი **ნიკო ახალკაცი.**

კურსის პილოტირება გაგრძელდება დეკემბრის ბოლომდე, ყოველ ორშაბათს, 19 საათიდან 22 საათამდე; თითოეულ შეხვედრაზე განიხილება ორი თემა.

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

● **28 ნოემბერს,** საქართველოს სახალხო დამცველმა **ლევან იოსელიანმა,** თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: **გიორგი ტალახაძე, ანი თამაზაშვილი, ირაკლი სურმავა** და **ანდრანიკ ბაღდასარიანი** შეხვედრა გამართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებთან.

შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე.**

ლევან იოსელიანმა მიმოიხილა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა და ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ხაზი გაუსვა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიების წარმოებისა და ეთნიკური უმცირესობების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის აუცილებლობას.

შემდეგ ღონისძიება ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა, სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მზაობა გამოთქვეს და სამომავლოდ პირდაპირი შეხვედრების ციკლი დაანონსეს.

● **29 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კოორდინატორის – **ელენე ძამიაშვილის** ხელმძღვანელობით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი – „ერეკლე მეორის“ კლუბის წევრები ესტუმრნენ, გაცნობის მიზნით.

სტუდენტებმა დაათვალიერეს სჯსუს გარემო და ინფრასტრუქტურა, სტუდენტური სივრცეები, შეხვდნენ სტუდენტურ თვითმმართველობას, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი აფხაზური ცენტრის – „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ წევრებს.

სჯსუს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თელაველ სტუდენტებს შეხვდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** უშუალოდ, მისგან მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის ისტორიის, ფაკულტეტებისა და პროგრამების შესახებ. სამომავლოდ ახალგაზრდებმა ერთობლივი აქტივობები და ღონისძიებებიც დაგეგმეს.

ინფორმაციები
უნივერსიტეტის facebook-ის
გვერდიდან

ვეტერინარიის მიმართულებით ახალი ინოვაციური მეთოდები ინერგება

ლევან მაკარაძე

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, CIF საგრანტო პროექტის მენეჯერი, პროფესორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რომელიც ერთიანობაში უნივერსიტეტის განვითარების, მისი ავტორიტეტის, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისაკენ არის მიმართული. აღნიშნულის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმის გამოც, რომ **ფაკულტეტი ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორიცაა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა.** აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტმა, რექტორატის ხელშეწყობითა და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ძალისხმევით, წარმატებით გაართვა თავი ინსტიტუციური ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მზადების პროცესებს. ახლა კი, წინ გველოდება სერიოზული და მნიშვნელოვანი გამოცდა, რომელიც უკავშირდება კლასტერული აკრედიტაციის ახალი სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. წარმატების მიღწევაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სწავლებაში ახალი ინოვაციური მეთოდების შემოტანა/დანერგვა და მათი შესაბამისობა მიმართულებებში სწავალების სხვადასხვა საფეხურზე სასწავლო კურსების სწავლების სპეციფიკასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვა და პერიოდული მონიტორინგი შესაბამისი პროფილის პროფესურის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების აქტიური ჩართვა და მათი აზრის გათვალისწინება, ასევე, შრომის ბაზრის კვლევა. როდესაც ვსაუბრობთ სწავლისა და სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვასა და გამოყენებაზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში ახალი მეთოდების შემოტანა, რომელიც უკავშირდება აუდიტორიულ სწავლებაში ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) მეთოდების დანერგვას და სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური გარემოს შექმნას. ყოველივე ეს სიმულაციურ გარემოში, თანამედროვე სავეტერინარო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სავეტერინარო შემთხვევების მოდელირების და მიზნობრივი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა/დემონსტრირების, სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავება – დადასტურების საშუალებას იძლევა.

საქართველოში ვეტერინარიის პროფილის საგანმანათლებლო აუდიტორიულ სწავლებაში OSCE და OSPE მეთოდების შემოტანა და ვირტუალური გარემოს შექმნა არის სიახლე/ინოვაცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწავლების პირველივე კურსიდან სტუდენტებში განვავითაროთ საექიმო/კლინიკური აზროვნება. სტუდენტი, ადრეული კურსებიდანვე, ეჩვევა საკუთარი თავის ექიმის როლში ყოფნას და პროფესიულ პასუხისმგებლობას. სწავლების პროცესში სტუდენტი განყენებულ ვეტერინარულ საქმიანობას კი არ სწავლობს, არამედ კონკრეტული პაციენტის ისტორიის პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს და მეთოდებს. ამ გზით შეძენილი გამოცდილებით სტუდენტს თამამად შეუძლია შეაბიჯოს რეალურ საექიმო პრაქტიკაში. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე სავეტერინარო განათლების გამოწვევა.

აღნიშნული, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს, სტუდენტს გამოვუმუშავოთ დამოუკიდებელი აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის, რთულ სიტუაციაში გარკვევისა და შემდგომი სწორი მოქმედების დასახვის უნარი.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) მეთოდოლოგიის სწავლებაში დანერგვით, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სწავლებისა და შეფასების სისტემა, კერძოდ: OSCE მეთოდი გამოიყენება პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსებში კლინიკური კომპეტენციების (კლინიკური უნარ-ჩვევების) შესწავლა/შეფასებისთვის, რომლის დროსაც სტუდენტი ახდენს კლინიკური უნარ-ჩვევების შეძენას და დემონსტრირებას. აღნიშნული ხორციელდება მულაჟების და სიმულატორების გამოყენებით სტანდარტიზირებულ (სიმულაციურ) პაციენტზე;

OSPE მეთოდი გამოიყენება პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპეტენციების (პრაქტიკული უნარ-ჩვევების) შესწავლა/შეფასებისთვის, რა დროსაც სტუდენტი ახდენს პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას მულაჟების, სიმულატორების, ჰისტოლოგიური ან/და პათოჰისტოლოგიური მაკრო და მიკროპრეპარატების, ნატურალური ჩონჩხის ან/და ჩონჩხის ცალკეული ნაწილების გამოყენებით.

აუდიტორიულ სწავლებაში, ვირტუალური გარემოს შექმნა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ვეტერინარიის მიმართულებით პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას, რომელიც მიმართული იქნება მაღალი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრისა და მკვლევარის მომზადებისაკენ. ასევე, სხვადასხვა სახის სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება საშუალებას მოგვცემს, სწავლების პროცესში, მაქსიმალურად შევამციროთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი თავიდან ავიცილოთ ცოცხალ ცხოველებზე სწავლებისათვის აუცილებელი სხვადასხვა მანიპულაციების განხორციელება და მოსალოდნელი სტრესული რეაქციები, რაც ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამავდროულად, სწავლების პროცესში ვირტუალური გარემოს შექმნა, თანამედროვე სავეტერინარო ტექნოლოგიების გამოყენება და ინოვაციური მეთოდების შემოტანა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაცია/გაუმჯობესებას, შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებას და ვეტერინარ სპეციალისტებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრა/შენარჩუნებას.

როდესაც ვსაუბრობთ სწავლება/სწავლის პროცესში ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მეთოდოლოგიით უზრუნველყოფაზე, კვალიფიციური პროფესურის არსებობაზე. რა გაკეთდა ამ მხრივ ფაკულტეტზე? პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ფაკულტეტიდან ვეტერინარიის მიმართულებით კონკურენტული ინოვაციური ფონდის (CIF) მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი **„ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვა და შესაბამისი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა“,** რომელმაც უცხოელი ექსპერტების ჩართულობით წარმატებით გაიარა შეფასების რთული პროცედურები და მოიპოვა მსოფლიო ბანკის დაფინანსება. აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეუმჯობესებინა ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სახის სიმულატორებისა და მულიაჟების შესყიდვას. ასევე, ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა სწავლებისათის ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია, სადაც განთავსდა შესყიდული სიმულატორები და მულიაჟები. შემუშავებული იქნა **ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) გამოცდების ჩატარების წესი, რომელიც განხილული და მოწონებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.**

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 2024 წლის 22-25 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე, პარტნიორი თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორების მიერ, კონკურენტული ინოვაციური ფონდის (CIF) საგრანტო პროექტის ფარგლებში, ვეტერინარიის მიმართულებით შეძენილ სიმულატორებზე და მულიაჟებზე ჩატარებული მასტერკლასი/ტრენინგები, რომელიც უკავშირდებოდა სხვადასხვა სახის მანიპულაციების განხორციელებას ძაღლის სტომატოლოგიურ-ქირურგიულ სიმულატორზე, ჰერეფორდის გართულებული მშობიარობის სიმულატორზე, ძაღლის ვენის პუნქციურ და ინექციურ სიმულატორზე, შინაგანი ორგანოების სიმულატორზე, ქირურგიული ნაკერების სავარჯიშო ბალიშებზე, ძაღლების სხვადასხვა სახის სიმულატორებზე და სხვა.

მასტერკლასები უკავშირდებოდა: გართულებული მშობიარობის სრული სამეანო ჯაჭვში დახმარებისა და ჩარევის პროცედურების დემონსტრირებას; პრაქტიკულ სიმულაციას პირის ღრუში (ნერვების ბლოკირება, ლუქსაცია, ნებისმიერი კბილის ამოღება); სხვადასხვა ტიპის ჭრილობებისა და ქირურგიული ნაკერების სწავლების დემონსტრირებას; ძაღლების სხვადასხვა სიმულატორებზე სასწავლო კურსების ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს, უცხოელი პროფესორების ჩართულობით, საშუალება მიეცათ, დაკვირვება ეწარმოებინათ და მოესმინათ შინაგანი ორგანობის მდგომარეობას ფიზიოლოგიურ და პათოლოგიის პირობებში, მოეხდინათ დიფერენცირება ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მდგომარეობის, განესაზღვრათ მისი განვითარებისა და დაზიანების ხარისხი, ასევე მასტერკლასები ითვალისწინებდა სიმულატორებზე იმიტირებულ ინტრავენურ ინფუზიას; ინტრავენურ, ინტრადერმულ და ინტრამუსკულარულ ინექციას; ტრაქეის ენდოპროტეზირებას; აუსკულტაცია/პალპაციას; პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის დროს მართვით სუნთქვაზე გადაყვანას; გულ-ფილტვის რეანიმაციას; უროლოგიური კათეტერის ჩადგმას; არტერიული და ვენური წნევის გაზომვას და სხვა. დაგეგმილი და უცხოელი პროფესორების მიერ განხორციელებული მასტერკლასი და ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, პროფესორები დემნა ხელაია, ნინო მილაშვილი, ლევან მაკარაძე, დავით გოდერძიშვილი, ლერი ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი, ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ჩაჩუა, დოქტორანტი გიორგი ბუცხრიკიძე ჩატარდა მაღალ პროფესიულ დონეზე, სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

შეძენილ და ახლადშექმნილ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში განთავსებული სიმულატორები საშუალებას იძლევა აუდიტორიულ სივრცეში შეიქმნას სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური გარემო, თანამედროვე სავეტერინარო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, რომელიც უკავშირდება სავეტერინარო შემთხვევების მოდელირებას და მიზნობრივი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა/დემონსტრირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეკლინიკური და კლინიკური სასწავლო კურსების სწავლებაში წარმატებით დანერგილი იქნება სწავლისა და შეფასების ისეთი თანამედროვე ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) მეთოდი. **მთლიანობაში, განხორციელებული ცვლილებებით და რეფორმებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარული განათლება მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროკავშირის (EU) კანონმდებლობაში არსებულ მოთხოვნებს, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH), ვეტერინარული დაწესებულებების ევროპული ასოციაციისა (EAEVE) და ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რაც ვეტერინარიის მიმართულებით აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და ვეტერინარიის სადოქტორო) საერთაშორისო (ევროპული) აკრედიტაციის მოპოვების რეალური წინაპირობაა.**

„დამალული ნიჭის“ აღმოჩენა

გარდა იმისა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას და ამ მიმართულებით არაერთ წარმატებას აღწევენ, აღმოჩნდა, რომ ისინი სხვადასხვაგვარი ნიჭითაც არიან დაჯილდოებულები. სწორედ, ეს ნიჭი წარმოაჩინეს 14 ნოემბერს სტუდენტებმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე – **„დამალული ნიჭი“.**

ამ დღეს ბიბლიოთეკა საგამოფენო სივრცედ გადაიქცა, სადაც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით არაერთი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ღონისძიების მიზანი იყო სტუდენტთა აქამდე დამალული ნიჭის ფართო საზოგადეობის წინაშე წარდგენა. ღონისძიების ორგანიზატორები და იდეის ავტორები გახლდათ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **გულიკო ჯანოვა** და ასოცირებული პროფესორი **მაკა მურვანიძე.** საზოგადოების წინაშე წარსდგნენ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ოთხივე კურსის სტუდენტები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა „ფულბრაიტის“ წარმომადგენელმა **სოფია პოზნანსკიმ.**

ძვირფასო სტუმრებო, ლექტორებო, სტუდენტებო, ქალბატონო რექტორო, ჩვენი ფაკულტეტის დეკანო– ქალბატონო გულიკო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების შემოქმედებით საღამოზე. დღეს საინტერესო ღონისძიება გვექნება. კერძოდ, ვხატავთ ფანქრით, პასტით, ზეთის საღებავებით, ვმღერით, ვცეკვავთ, ვწერთ ჩანახატებს, ლექსებს, ქართულად და ინგლისურად, ვქსოვთ, ვაცხობთ, ვაკეთებთ თაიგულებს, ვუკრავთ სხვადასხვა ინსტრუმენტზე და სხვა. – მიმართა დამსწრე საზოგადოებას ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტმა **ნანა ჭეიშვილმა** და შემოქმედებითი საღამოს პროგრამის შესახებ ისაუბრა.

პოეზია ნამცხვრის ნაჭერი არაა, ყველამ ერთხმად რომ შეაფასოს, დანაყრდეს და დაივიწყოს. პოეზია უფრო ლურჯი ფრინველია, რომელსაც ან მოიხელთებ, თვალს გააყოლებ ან სულაც არ შეამჩნევ. პოეზია მუდმივად ცდილობს გამოგათრიოს შენი შექმნილი კომფორტის ზონიდან და სამყაროში საკუთარი დანიშნულების გაცნობიერებისაკენ მიგაბრუნოს. – სტუდენტმა **შუშანიკ ტონოინმა** პოეტის, მთარგმნელის, აღმოსავლეთმცოდნისა და ფილოლოგის გიორგი ლობჟანიძის სიტყვების მოშველიებით ახსნა პოეზიის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება.

ღონისძიება საკუთარი ავტორობით შექმნილი თუ გამოჩენილი პოეტების ლექსების წარდგენით გაგრძელდა.

მიყვარს ლექსების კითხვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტოსულად ვგრძნობ თავს. დღეს შემოგთავაზებთ ჰენრი ლონგფელოუს ლექსს „ისარი და სიმღერა“. – აღნიშნა რიტა გრიგორიანმა და მის მიერ შესანიშნავი ლექსის წაკითხვის შემდეგ **მარიამ გელენიძე** წარსდგა. მან აღნიშნა, რომ უყვარს ხატვა, სიმღერა და ლექსების წერა: **მართალია, მეცადინეობას საკვარული წითელი ვარდია“** წაიკითხა, **რადმილა ჩაჩანიძემ** პერსი ბიში შელის ლექსი – „სიყვარულის ფილოსოფია“, **თამარ ცუცქირიძემ** რობერტ ფროსტის ლექსი – „Fire and Ice” by Robert Frost“, ხოლო **თათია მსხვილიძე** საზოგადოების წინაშე შექსპირის მე-18 სონეტით წარსდგა.

მარიამ კვინცხაძემ ჯორჯ გორდონ ბაირონის, ცნობილი ბრიტანელი რომანტიკოსი პოეტისა და სატირისტის ლექსი „She Walks in Beauty“ წაიკითხა, რომელიც გარდაცვლილი დედის ხსოვნას მიუძღვნა.

მარიანა აკოფიანმა, მანუშაკ დილბარიანმა ამერიკელი პოეტის, ნოველისტის, რედაქტორის, კრიტიკოსისა და ამერიკული რომანტიზმის ლიდერის, ედგარ ალან პოს ლექსი „აანაბელ ლიი“ წაიკითხეს. მარიანამ სიმღერა „სომხური შალახოც“ შეასრულა.

მაოდ დიდ დროს ვუთმობ, მაგრამ მაინც მრჩება დრო საყვარელი საქმის გასაკეთებლად. მარიამმა წაიკითხა საკუთარი ლექსი „ნეპტუნი“, რომელიც, მისივე განმარტებით, გამოხატავს სიტუაციათა ზედმეტი გაანალიზებისგან გამოწვეულ პარალიზსა და მომავალთან დაკავშირებულ შფოთვას. მარიამმა, ასევე, შეასრულა სიმღერა „Bug Like An Angel by Mitski”.

ანდრეი მარქარიანი ლექსებს სომხურ ენაზე წერდა, თუმცა, ღონისძიებისთვის სცადა ლექსი ინგლისურ ენაზეც შეექმნა. არ ვიცი, როგორი გამოვიდა, თქვენ შეაფასეთო, თქვა ანდრეიმ და წაიკითხა ლექსი „hearts in harmony“, რომელმაც აუდიტორიის მხრიდან ოვაციები დაიმსახურა.

სალომე წიქარიშვილმა რობერტ ბერნსის ლექსი „ჩემი სიყვარული ვარდია“ წაიკითხეს. მარიანამ სიმღერა „სომხური შალახოც“ შეასრულა.

გაჟღერდა **გიორგი ასპანიძის** მიერ პიანინოზე შესრულებული მელოდიები – „River Flows in You“, „Mariage d’Amour - Paul de Senneville“, რომელთა ჰანგებმაც საზოგადოებაში გააგრძელა პოეზიით გამოწვეული ემოცია.

მარიამ საანიშვილმა საკუთარი ლექსი „ღმერთის თვალი“ წაიკითხა, ასევე, წარმოადგინა მის მიერ შექმნილი ნახატები და შეასრულა სიმღერები – „Wicked Game“, „Rise Like a Phoenix“. **თავისუფალ დროს ვხატავ, ვწერ ლექსებს და ვმღერიო,** – გვითხრა მარიამმა, რომლის შესრულებამ დიდი ოვაციები გამოიწვია.

ნანკა ბერიძემ და **მერი ალელიშვილმა** აღნიშნეს, რომ უყვართ პოეზია, კითხულობენ როგორც ქართველ, ასევე, ინგლისელ და ამერიკელ პოეტებს. მეგობრებმა წარმოადგინეს კრისტეფორ მარლოუს ლექსი „The Passionate Shepherd to His Love“.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური ცეკვები.

მე და ვალერია ბავშვობიდან ვცეკვავთ. გვეამაყება,რომ ქართული კულტურის ნაწილი ვართ. ცეკვა თავისუფლებაა და ის ყველაზე მეტად გამოხატავს ადამიანის შინაგან გრძნობებს. სწორედ ამიტომ, სურვილი გვაქვს ამ ღონისძიებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ, – თქვა **ანანო გუბელაძემ** და მეგობრებთან – **თამაზ მელიქიძესთან, თამაზ ყურმაშვილთან** და **ვალერია ჩარჩიანთან** ერთად ცეკვა აჭარული შეასრულა.

ცეკვა ჩემთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ეს საქმე მომწონს, ბედნიერებას მანიჭებს და ამიტომ მინდა, ამ საღამოზე ჩემს კურსელთან ერთად პოპურით წარვდგე. ბავშვობაში ნინიც ცეკვავდა და ცეკვა დღესაც საყვარელი საქმიანობაა მისთვის, – გვითხრა **თათია მსხვილიძემ** და **ნინი მოდებაძესთან** ერთად ცეკვა პოპური წარადგინა.

თეკლა ქველაძემ და **მარიამ კანანიანმა** შეასრულეს სიმღერა „ქუჩა-ქუჩა დავდივარ“, რომელსაც დამსწრე აუდიტორიაც აჰყვა.

ნივთების შექმნა საშუალებას მაძლევს, გამოვხატო ჩემი თავი და შევქმნა რაიმე ღირებული. დამზადების პროცესი ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. სახე შესძინო შენს იდეებსა და ჩანაფიქრს, თითოეულ დეტალზე სათითაოდ იმუშაო და იცოდე, რომ ეს ყველაფერი შენს პიროვნებასა და მონდომებას გამოხატავს, ის გრძნობაა, რომელმაც მიბიძგა ამ საქმიანობისაკენ, – აღნიშნა **ანა დემეტრაძემ** და დამსწრე აუდიტორიას მის მიერ შექმნილი ნამუშევრები წარუდგინა.

გვანცა გაჩეჩილაძემ ხატვა რომ დაიწყო, შვიდი წლის იყო. შემდეგ დედამ სამხატვრო სკოლაში მიიყვანა: **ვხატავ მაშინ, როცა ცუდ ხასიათზე ვარ. ხატვის დროს უარყოფითი ენერგიისგან ვიცლები. ადრე პეიზაჟებს ვხატავდი, ახლა პორტრეტების ხატვა დავიწყე. ასევე, ვხატავ თვალებს, რაც, ჩემი აზრით, კარგად გამომდის. როცა ვხატავ თავს თავისუფალ პიროვნებად ვგრძნობ.** გვანცამ შესანიშნავი ნამუშევრები გააცნო აუდიტორიას.

შუშანიკ ტონოიანი თვლის, რომ თაიგული, სიყვარულისა და დადებითი ემოციების გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაა: **ბუნებრივი ვარდების თაიგული ულამაზესია, მაგრამ საწყენია, რომ ძალიან მალე ჭკნება. ამიტომ, ხელოვნური ვარდები საშუალებას გვაძლევს, დავიმახსოვროთ ეს ემოციები მუდმივად. ზუსტად ეს იყო იმის მიზეზი, რატომ დავიწყე თაიგულების შექმნა, რისთვისაც გამოვიყენე ბუნების სილამაზე – ნაირფერადი პეპლებიც.** შუშანიკმა არაჩვეულებრივი თაიგულები წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

გვანცა ათენაშვილმა ღონისძიებაზე ხელნაკეთი ნივთები წარმოადგინა. ამ მიმართულებით გვანცა ბავშვობიდან დაინტერესდა: **პატარაობიდან დავიწყე ჩანთებისა და სამაჯურების გაკეთება მატყლისგან, ასევე, სამკაულების დამზადება მძივებით. ხელნაკეთების დამზადება მანიჭებს სიამოვნებას, მამშვიდებს, მავსებს პოზიტიური ენერგიით.**

ნინო დარბაზოვისათვის ხელსაქმე და ხატვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თქვა, რომ ის ანიჭებს კომფორტს და სიმშვიდეს. **ხატვა ჩემთვის თავისუფლებაა, სადაც არანაირი შეზღუდვა არ არის და ხელსაქმის კეთება არის გზა შინაგანი სამყაროს სიმშვიდისაკენ.** ნინომაც, მეგობრების მსგავსად, არაჩვეულებრივი ნამუშევრები წარადგინა საზოგადოების წინაშე.

ნათია ლომიძემ აღნიშნა, რომ პირველი ნახატები საბავშვო ბაღში ყოფნის დროს შეასრულა: **შემდეგ აღმოვაჩინე სამხატვრო სკოლა ჩვენს ქალაქში. იქ ვისწავლე 6 წელი და წარმატებით დავასრულე. ამ დროის განმავლობაში ხატვა ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა და შემგომში მომავალი პროფესიაც გახდება.**

ნათია ზედგინიძეც ბავშვობიდან ხატავს. ვამაყობ ქართული ანბანის გაფორმებითო, გვითხრა ნათიამ. ღონისძიებაზე **თაქუი ნაზარეტიანმაც** საკუთარი ნახატები წარმოადგინა.

დამსწრე საზოგადოებამ დააგემოვნა სტუდენტების – **სირუნიკ ავეტისიანის, სილვა პეტროსიანის, მარიამ კოჟორიძის, ტერეზა სერობიანის და მარიამ კაპანაძის** მიერ წარმოდგენილი ნახელავი.

ღონისძიება შეაფასეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **გულიკო ბექაურმა,** სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ,** კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა **თეიმურაზ მაღრაძემ,** საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **გურანდა მოდებაძემ.**

„გზა დაგვილოცეთ“ – ეს სიმღერა გახლდათ ბოლო ნომერი, რომლითაც ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტები მომავალ შეხვედრამდე დაგვემშვიდობნენ.

ლიკა ზაზაშვილი

„ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან“

წიგნის წარდგენა ავტორის გარეშე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 3 დეკემბერს, ან გარდაცვლილი პროფესორის, ისტორიის დოქტორის **რომან გოგოლაურის** წიგნის – **„ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან“** პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი, რომელიც პროფესორმა გამოსაცემად სიცოცხლეშივე მოამზადა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მეგობრების ინიციატივითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით დაიბეჭდა. წიგნის პრეზენტაციაზე, გარდა იმ ღირებულებებისა, რომელიც რომან გოგოლაურის მეცნიერულ მოღვაწობას ეხებოდა, დამსწრე საზოგადოებამ პროფესორის ადამიანურ, მეგობრულ და სხვა დადებით თვისებებსაც გაუსვა ხაზი. რომან გოგოლაურს არა მარტო საისტორიო საზოგადოებაში, არამედ ყველა ადამიანის გულში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მისი მთავარი ღირებულება სამშობლოს სიყვარული გახლდათ. ამ სიყვარულს ეფუძნებოდა მთელი მისი სამეცნიერო საქმიანობა.

წიგნის ავტორს დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული ჰქონდა თავისი კუთხისადმი. აღინიშნა, რომ მისი წიგნები სამაგიდო იქნება ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის და ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ეს კუთხე და მისი ისტორია უყვარს.

წიგნის პრეზენტაცია უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** გახსნა: **ჩვენ ვისაუბრებთ პროფესორის წიგნზე, წიგნის მნიშვნელობაზე, შინაარსზე, ამ წიგნის ჩვენს სასწავლო პროგრამებში გამოყენებაზე. ეს იქნებოდა წიგნის ჩვეულებრივი წარდგენა, რომ არ ახლდეს მძიმე ფაქტი – პროფესორი რომან გოგოლაური თავად ვერ წარგვიდგენს წიგნს. ყველაზე მთავარი რამ დააკლდება ამ წიგნის წარდგენას – ავტორის პოზიცია, ავტორის სათქმელი, ავტორის სიტყვები. ჩვენ ვეცდებით, რომ ეს ნაკლი შევავსოთ.**

რექტორმა წიგნის გამოცემისა და მისი შინაარსის შესახებ მოახსენა საზოგადოებას. აღნიშნა, რომ „ნარკვევები სამხრეთ საქართველოს ისტორიიდან“ 2020 წელს მომზადდა დასაბეჭდად. ბატონი რომანის გარდაცვალების შემდეგ, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით, მეცნიერის უკანასკნელი წიგნი 2024 წელს გამოიცა. ისტორიკოსთა ჯგუფმა – **ნიკოლოზ ახალკაცის, ვასილ მოსიაშვილის, როინ ყავრელიშვილის** ჩართულობით, წიგნის გამოცემაზე იმუშავა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაშრომი იმ ფორმით დაბეჭდილიყო, რა ფორმითაც ავტორს სურდა. უცვლელი დარჩა რედაქტორი, რეცენზენტები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა სასწავლო განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა **მარინა ტაბატაძემ.**

წიგნი 20 სტატიისგან შემდგარი კრებულია. ის ავტორის ერთგვარი ანგარიშია, რომელიც ერთნაირად საინტერესოა როგორც მეცნიერთათვის, ასევე, სტუდენტებისთვის, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი ისტორიკოსებისათვის.

რექტორმა აღნიშნა, რომ რომან გოგოლაურმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსებისთანავე დაიწყო მუშაობა. ის არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორია. ბატონი რომანი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოზიციაზე საქმიანობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვლევრის ინტერესი სამხრეთ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით.

ისტორიული ფაქტებისადმი დამოკიდებულება, მისი მრავალმხრივი ანალიზი, საკითხის კრიტიკული გააზრება, თითოეულ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებული მოვლენების ამომწურავი მსჯელობა გამოარჩევს რომან გოგოლაურის ნაშრომებს. წინამდებარე წიგნის მნიშვნელობა იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ ის ავტორის ხელით შექმნილი უკანასკნელი ნაშრომია. მისი კვლევის ერთ-ერთი თავისებურება ხომ ისტორიის ყველაზე ბუნდოვანი, ნაკლებად ცნობილი დეტალების ამოცნობა და მათი სააშკარაოზე გამოტანა იყო. დარწმუნებული ვართ, რომ რომან გოგოლაურს კიდევ დარჩებოდა დასამუშავებელი თუ შესასწავლი საკითხები სამუშაო მაგიდაზე. – აღნიშნა რექტორმა.

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** უნივერსიტეტში რომან გოგოლაურის მოსვლის ისტორია გაიხსენა. 1990 წელს, როდესაც მესხეთში უნივერსიტეტის გახსნას ეყრებოდა საფუძველი და მერაბ ბერიძე ეძებდა თანამოაზრეებს, თსუს ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა რეკომენდაცია მაშინ მეოთხე კურსზე მყოფ სტუდენტს, რომან გოგოლაურს მისცა. **რომანი არც კი დაფიქრებულა, წამოვედით ერთად. მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული არ ჰქონდა უნივერსიტეტი, ის გარეკავდით, თითქმის, სულ ბიბლიოთეკაში იჯდა ან ლექციაზე იყო. რომანი გვიყვარს და ყოველთვის გვეყვარება იმ ადამიანად, როგორი კარგი სახელიც მან დატოვა.**

რექტორის მოადგილემ ახალქალაქის სასწავლო კორპუსში, ასოცირებულმა პროფესორმა **ვასილ მოსიაშვილმა** აღნიშნა, რომ არ არის ადვილი, რომან გოგოლაურზე წარსულ დროში საუბარი. მისი ნაადრევი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ახლობლებისთვის, მისი მშობლიური უნივერსიტეტისთვის და ქართული ისტორიოგრაფიული სკოლისთვის: **ის არასდროს შრომობდა რეკლამის, ან სახელის გულისთვის. როდესაც შევაქებდით, პატარა ბავშვივით წითლდებოდა. ბატონი რომანი შუა საუკუნეების მკვლევარი იყო, განსაკუთრებით კი მე-18 საუკუნეს იკვლევდა. ის იყო პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი. თუმცა, ამავე დროს, დიდი წყაროთმცოდნე. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის სილაბუსებში უნდა იყოს რომან გოგოლაურის სტატიები შესული. ეს ასეც არის, გარკვეულწილად. როდესაც ბატონი რომანის ლექციების წაკითხვა მომიწია, ლექციის ნახევარზე მეტი, წავიკითხე რომან გოგოლაურის სტატიებზე დაყრდნობით. სულ სხვა თვალით შევხედე მის მსჯელობას, მის ანალიზს.**

ვაფორმეთ ლაბორანტის თანამდებობაზე. რომანი ჩვენს უნივერსიტეტში გახდა დოცენტი, შემდეგ პროფესორი. რომანს და მე ყოველთვის გვქონდა სამეცნიერო მიმართულებით ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ რომანის სამეცნიერო საქმიანობა მესხეთისადმი იყო მიძღვნილი, თავისი სულით და გულით მთიული კაცი იყო. რთულია დღეს ბატონ რომანზე საუბარი იმიტომ, რომ ჩვენ რეალური ისტორტიკოსი დავკარგეთ. – აღნიშნა ბატონმა მერაბმა.

რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, პროფესორმა **ნიკოლოზ ახალკაცმა** გაიხსენა, თუ როგორ მუშაობდა ბატონი რომანი აღნიშნულ წიგნზე, გაიხსენა, რომ მას წიგნში რამდენიმე სტატიის დამატება სურდა, ამიტომ შეაჩერა 2020 წელს წიგნის გამოცემა:

კარგი საქმე კეთდება ხოლმე, როდესაც მეცნიერი კრებს ერთად თავის ნაშრომებს, სხვადასხვა ადგილას დაბეჭდილს და ერთ კრებულად გამოსცემს. რომანს წიგნში სტატიები ქრონოლოგიურად აქვს დალაგებული. სტატიებში დამაჯერებელი და საინტერესო არგუმენტები მოჰყავს. ბატონმა რომანმა ერთ-ერთ ნაშრომში დაწერა – ვიმედოვნებთ, აღმოჩნდება ისეთი საკითხები, რომელიც მეტ არგუმენტებს მოგვცემსო. ახალ მკვლევრებს დაუტოვა გზა, რომ თუ რამე იქნება სიახლე, გააგრძელონ კვლევა. ერთი ნაბიჯითაც კი არ უხვევდა წმინდა მეცნიერული საქმიდან. რომანს როდესაც დავუ-

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** ბატონ რომანთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა: **როდესაც ვკითხულობდი რომანის სტატიებს, აღმოვაჩინე, რომ იგი ცდილობს თავისი არგუმენტაცია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მიგნებით თქვას, არამედ რამდენიმე ფაქტი უნდა მოიყვანოს და ეს ღირსეულ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ. არ არსებობდა, მას ლექცია გაეცდინა. რომანის ადგილი იყო ყველა ჩვენგანის გულში. იყო ფაკულტეტის საბჭოს გამორჩეული წევრი, მოკრძალებული, მიზანდასახული. მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის.**

ციური ლაფაჩი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორი: **დიდი მადლობა, რომ მომეცა საშუალება, ვყოფილიყავი თქვენთან ერთად და ბატონი რომანის შესახებ მეთქვა ჩემი სათქმელი. დიდი ტრაგედია იყო, ასე მოულოდნელად რომ დაგვტოვა. რთულია რეალობა, რომელშიც დღეს ვართ. რომან გოგოლაური ზეციერშიც ისეთივე არაჩვეულებრივი, კეთილი, წესიერი ადამიანი იქნება, როგორიც აქ იყო. უნივერსიტეტის დირექციას, წიგნის შედგენაში მონაწილე ადამიანებს მადლობა წიგნის გამოცემისთვის. ნათელი მის სულს.**

ნატო ყრუაშვილი, პროფესორი: **მე მაქვს ბატონი რომანის ყველა წიგნი, რომელსაც გაუკეთებდა ხოლმე წარწერას და მჩუქნიდა. მხოლოდ ეს წიგნი იქნება მისი ხელმოწერის გარეშე. ბატონ რომანს ახასიათებდა მეცნიერის პატიოსნება. ყველა მოვლენას ისე განიხილავდა, როგორც ამას ისტორიის პრინციპი მოითხოვდა. სიღრმისეულად მიმოიხილავდა საკითხს. ისეთ ფაქტს წამოწევდა წინ, რაზეც თითქოს უკვე იყო ნათქვამი, მაგრამ რაღაც სიცხადე აკლდა. დიდი დანაკლისია ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ისტორიის საზოგადოებისათვის. მაქვს იდეა, რომ რაღაცა ფორმით იმ გარდაცვლილი ადამიანების შესახებ დარჩეს ისტორიას, რომლებმაც უნივერსიტეტის ისტორიის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა და მის განვითარებაში თუნდაც ერთი აგური დადეს.**

პრეზენტაციაზე სტყვით გამოვიდნენ რომან გოგოლაურის სტუდენტები **თია ყულჯანიშვილი** და **გიორგი ქუქჩიშვილი,** რომლებმაც დიდი სიყვარულით ისაუბრეს თავიანთ ლექტორზე. პრეზენტაციას ესწრებოდნენ რომან გოგოლაურის ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებმაც მადლობა მოახსენეს ღონისძიების მონაწილეებს ბატონი რომანის დაფასებისა და გახსენებისთვის.

ლიკა ზაზაშვილი

მასტერკლასი ვეტერინარიის მიმართულებით

22-25 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის მიმართულებით, ინოვაციური ფონდის (CIF) საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილ სიმულატორებზე, პარტნიორი – თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტიდან მოწვეულმა პროფესორებმა მასტერკლასი ჩაატარეს. სტუდენტები გაეცნენ ძაღლის სტომატოლოგიურ-ქირურგიულ სიმულატორზე, ჰერეფორდის გართულებული მშობიარობის სიმულატორზე, ძაღლის ვენის პუნქციურ და ინექციურ სიმულატორზე, შიგნეულობის ორგანოების სიმულატორზე, ქირურგიული ნაკერების სავარჯიშო ბალიშებზე, ძაღლის სხვადასხვა სახის სიმულატორზე მუშაობის პრინციპებს.

შეძენილ და ახლადშექმნილ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში განთავსებული სიმულატორები საშუალებას იძლევა, აუდიტორიულ სივრცეში შეიქმნას სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური გარემო, თანამედროვე სავეტერინარო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, რომელიც უკავშირდება სავეტერინარო შემთხვევების მოდელირებას და მიზნობრივი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა/დემონსტრირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეკლინიკური და კლინიკური სასწავლო კურსების სწავლებაში წარმატებით დანერგილი იქნება სწავლისა და შეფასების ისეთი თანამედროვე ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) მეთოდი.

მასტერკლასების შემდეგ კომენტარი გააკეთა ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორმა: **მე გახლავართ თურქეთის რესპუბლიკის ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის ქირურგიული მიმართულების პროფესორი ჯელალ შაჰინ ერმუთლუ. დიდი მადლობა მოწვევისთვის. ჩვენი ჩამოსვლის მთავარი საფუძველი არის ყარსის კავკასიისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლა. სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ გავუზიარეთ ჩვენს კოლეგებს, სტუდენტებს, ვეტერინარიის მიმართულებით ჩვენი გამოცდილება. ამას გარდა, როდესაც დავბრუნდებით, ჩვენს კოლეგებს თურქეთში გავუზიარებთ თქვენს გამოცდილებას. მადლობა ქალბატონ რექტორს, ბატონ ლევანს ჩვენი აქ მოწვევისთვის. დღევანდელი დღით კმაყოფილი დავრჩი, ძალიან კარგ სიმულატორებზე ვიმუშავეთ. ასევე, არსებული იარაღები, რაც ამ მიმართულებით იყო საჭირო, ყველაფერი გააჩნიათ აქაურ კოლეგებს. პირველ რიგში, ჩვენი სტუდენტები უნდა დარჩენილიყვნენ კმაყოფილები და თუ ეს ასეა, ძალიან მოხარული ვიქნები.**

მასტერკლასებით კმაყოფილი დარჩნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ჩვენი კორესპონდენტი

„მე შენს სიყვარულს ერთგულებით შემოვრჩი, როგორც უკანასკნელი მეციხოვნე აწყურის ციხეს...“

მოგესალმებით ჩვენი გაზეთის ძვირფას მკითხველს. დღევანდელ ინტერვიუში მსურს, გაგიზიაროთ ის რჩევები და მოსაზრებები, რომლებსაც არ იშურებს ყველასათვის საყვარელი და გამორჩეულად საინტერესო პიროვნება, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლიტერატურის ერთგული მეგობარი, პროფესორი ვახტანგ ინაური.

ბატონი ვახტანგის შემოქმედებასა და პიროვნებას კარგად ვიცნობთ, თუმცა, დღეს გულღია საუბრებისა და შთაბეჭდილებების თავგადასავალში ვიმოგზაურებთ ყველა ერთად.

– მოგესალმებით, ბატონო ვახტანგ. გულისყურით გისმენთ და მოუთმენლად ველოდები თქვენს საინტერესო პასუხებს. რომელი მწერალია თქვენთვის ყველაზე დიდი შთაგონების წყარო და რატომ?

– მოგესალმები, რიმა, მივესალმები გაზეთის მკითხველს. ჩემთვის გამორჩეულად შთამაგონებელი მწერალია მიხეილ ჯავახიშვილი, ვინაიდან იგი რეალისტურად და მაღალმხატვრულად ასახავს სინამდვილეს, ეროვნულ და სოციალურ პრობლემატიკას.

– ლიტერატურის როლზეც რომ ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, რა როლი აკისრია ლიტერატურას თანამედროვე საზოგადოებაში?

– ლიტერატურა ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრებას, მასში კეთილი საწყისების განვითარებას, სიყვარულის, ცხოვრების აღქმასა და გააზრებას ემსახურება, აჩვენებს მკითხველს ზნეობრივი სრულყოფისა და ამაღლების გზას.

– რომელი ლიტერატურული შემოქმედებანია, თქვენი აზრით, აუცილებელი წასაკითხი ახალგაზრდებისთვის?

– „ვეფხისტყაოსანი", ჯეკ ლონდონის „ზღვის მგელი", კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა," „თოვლი", „ლურჯა ცხენები", „ყივჩაღის პაემანი", „ნინოწმინდის ღამე", „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე", „ანანურთან", „ფარული ვედრება", „ხმა კატამონთან"...

– როგორ შეიძლება ლიტერატურამ იმოქმედოს ადამიანის აზროვნებასა და ემოციურ მდგომარეობაზე?

– ნაწრმოების შინაარსის დეტალური შესწავლით, მისი საფუძვლიანი, ობიექტური და მრავალმხრივი ანალიზის შემდეგ ლიტერატურა მოქმედებს ადამიანის აზროვნებასა და ემოციებზე.

– შთამბეჭდავია ეს ყოველივე. ლიტერატურასა და ტექნოლოგიებზე, 21-ე საუკუნის ყველაზე ცნობილ თემაზე, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება. რა გავლენა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებს ლიტერატურის სწავლებისა და აღქმის პროცესზე?

– უახლესი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინფორმაციისა და სასწავლო მასალის წვდომას, დროის ეკონომიას, ზოგადი აზროვნების განვითარებას.

– როგორ ხედავთ ლიტერატურის მომავალს ციფრულ ეპოქაში?

– დროის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მხატვრული ფორმა და გამოსახვის საშუალებები, მაგრამ ლიტერატურა ნებისმიერ ეპოქაში ინარჩუნებს თავის ფუნქციას.

– ინდივიდუალურ ინტერესებზე საუბარიც არ იქნებოდა ურიგო. რომელი ჟანრი ან პერიოდი გიზიდავთ ყველაზე მეტად ლიტერატურაში და რატომ?

– მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურა. ამ პერიოდში იმდენი გენიალური ნაწარმოები შეიქმნა საქართველოში და არამარტო სქართველოში, რომ მანამდე გავლილ ერთად აღებულ ლიტერატურის ისტორიას ბევრად აღემატება.

– რა წიგნი წაიკითხეთ ბოლოს, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაგიტოვათ?

– ზელიმხან მაღრაძის „სამცხის გოდება". მესხეთისა და საქართველოს წარსულის ტკივილი გამიახლა.

– რომელი ლიტერატურული პერსონაჟი გესმით ყველაზე კარგად?

– ავთანდილი თავისი იდეალური ზნეობითა და რომანტიკულობით და მგელი ლარსენი მკაცრი რეალობის განსახიერებითა და გააზრებით.

– ნამდვილად საინტერესოა. პრაქტიკულ რჩევებზეც მოვისმენდი თქვენგან. რა არის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც ადამიანები ლიტერატურის წაკითხვისას უშვებენ?

– ნაწარმოების ცალმხრივი ხედვა და ტრაფარეტული ანალიზი.

– კრიტიკული ხედვები თქვენი, ბატონო ვახტანგ; რა კრიტერიუმებით აფასებთ ლიტერატურულ ნაწარმოებს?

– მხატვრული ღირებულებებით, თემისა და პრობლემის სიღრმითა და აქტუალობით, პოეტიკური სახეებითა და სამწერლო სტილით.

– და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, დღეს საკმარისად აფასებენ თუ არა ლიტერატურას, როგორც ხელოვნების ფორმას?

–ზოგ შემთხვევაში, ნაკლები ყურადღება ეთმობა. ზოგჯერ ტენდენციური და არასიღრმისეულია.

– დიდი მადლობა, ბატონო ვახტანგ, გულახდილი პასუხებისთვის, ჩვენს მკითხველს კი გავუზიარებ თქვენი შემოქმედების ნიმუშებს.

ინტერვიუერი
რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი

ვახტანგ ინაური

ცქრიალა დედოფალი

მარტის თვესავით მაცდური ხარ, ურჩი,
თავნება,
აფორიაქებ სულში წლობით ჩათვლემილ
დუმილს,
ჩემო ცქრიალა დედოფალო,
ცისფერთვალება,
კვლავ ამიძგერე სიყვარულით ნატანჯი
გული.

და კვლავ ამღერდა დაღონებულ ირმის
თვალებში
ჩემზე გამწყრალი უგულო და მაცდური
ბედი.
ენძელასავით შემომადნა დაღლილ
ხელებში
ათასჯერ სადღაც გაფრენილი თეთრი
იმედი.

მარტის თვესავით მაცდური ხარ, ურჩი,
თავნება,
ჩემო ცქრიალა დედოფალო,
ცისფერთვალება.

დამსხვრეული ფიქრები

დაღლილი ღამე გავიდა თეთრად,
ცაზე ცისკარი აენთო იქნებ,
მე კი ვდგავარ და სათუთად ვკრეფავ
შენს ფანჯარასთან დამსხვრეულ
ფიქრებს.
გულს დაღალული ოცნება ავსებს,
დაძმარებული გრძნობებით ლოთობ,
შენ დარჩი მარტო და დაემსგავსე
შემოდგომაზე მოწყვეტილ ფოთოლს.
და გრძელი ღამე მიღოღავს თეთრად,
ჩვენი წარსული გაწვალებს იქნებ.
მე კი ვდგავარ და დუმილით ვკრეფავ
შენს ფანჯარასთან დამსხვრეულ
ფიქრებს.

* * *

ამაოდ ვუყურებ მომავალ ქალს,
ქვეყნად შენ არავინ გგავს,
ამაოდ გავცქერი შენს გზას,
ამ გზაზე მომავალ მგზავრს,
ვერ ვხატავ ვერავის შენს მსგავსს,
ამაოდ ვუყურებ სხვა ქალს,
ამქვეყნად შენ არავინ გგავს.



ანა კალანდაძე – 100

პოეზიის მარადიული დედოფალი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 17 დეკემბერს, ქართული პოეზიის მარადიული დედოფლის – ანა კალანდაძის 100 წლის იუბილეადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის – **ლალი ბერიძისა** და მკითხველთა კლუბის თავმჯდომარის – **თათია მსხვილიძის** ორგანიზებით.

ანა კალანდაძემ ლექსის წერის გამორჩეული, ჰარმონიული და ნატიფი სტილით შექმნა მარად უკვდავი პოეზია, რომელიც მუდამ დარჩება მკითხველთა გულებში. იგი გამოირჩეოდა პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართულ პოეზიაში ხანგძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. როგორც რეზო შატაკიშვილი აღნიშნავდა: „მხოლოდ რჩეულები ახერხებენ – მოიხსენიონ სახელით. მან ეს მოახერხა. ახსენებ ანას და იგულისხმება ანა კალანდაძე და არავინ სხვა“. ამიტომ, ჩვენი მხრიდან, დანაშაულიც კი იქნებოდა „ბუმბერაზი“ პოეტი ქალის დაბადების დღე რომ არ აღგვენიშნა.

გამომდინარე იქიდან, რომ სულ მალე მკითხველთა კლუბი დაიწყებს განახლებულ, აქტიურ მუშაობას, ეს ღონისძიებაც კლუბის ინტერესებთან იყო დაკავშირებული და, ფაქტობრივად, სადებიუტო აქტივობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ღონისძიების ჩატარების იდეაც კლუბის სამომავლო გეგმებმა განაპირობა, თუმცა, ცხადია, ამოსავალი წერტილი, რამაც იდეა სისრულეში მოიყვანა, ანა კალანდაძის, როგორც პოეტის მიმართ პატივისცემა და მისი შემოქმედების სიყვარული გახლდათ.

მოგეხსენებათ, ნებისმიერ ღონისძიებასა თუ ინიციატივას აქვს თავისი მიზანი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ღონისძიებაც არ ყოფილა გამონაკლისი. მიზნები გახლდათ შემდეგი: ანა კალანდაძის ხსოვნის უკვდავყოფა; მკითხველთა კლუბის განახლებული საქმიანობის დაანონსება და სარეგისტრაციო ფორმის შესახებ სტუდენტების ინფორმირება; პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გახსენება; სტუდენტებში პოეზიის სიყვარულისა და მხატვრული კითხვის ხელშეწყობა.

შეხვედრას ესწრებოდა სჯსუს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ღონისძიება გახსნა ქალბატონმა **ლალი ბერიძემ,** შემდეგ მსვლელობა წარმართა **თათია მსხვილიძემ.** მან, პრეზენტაციის ფონზე, აუდიტორიას წაუკითხა ნაწყვეტები პოეტის ბიოგრაფიიდან, შემდეგ კი ანა კალანდაძის პოეზიის მოყვარულმა სტუდენტებმა და სტუმრებმა წაიკითხეს პოეტის შემოქმედებიდან მათთვის საყვარელი ლექსები.

ვფიქრობ, ჩვენი ღონისძიებით შევძელით ანა კალანდაძის, როგორც ღირსეული პოეტი ქალის გამორჩეული პოეტური სტილის წარმოჩენა და მისი შემოქმედების სასიამოვნო ჰანგებზე გაჟღერება. „მკითხველთა კლუბი“ სამომავლოდ კიდევ მრავალ საინტერესო ღონისძიებასა და აქტივობას გპირდებათ ლიტერატურასა და პოეზიასთან დაკავშირებით. დარჩით ჩვენთან, ერთად ჩამოვაყალიბოთ წიგნიერი საზოგადოება.

თათია მსხვილიძე

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი

პირველი პუბლიკაცია

გზა – „მშვიდობის ჯილდოამდე“

დღევანდელი ჩვენი რესპონდენტია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წელს დაარსებული აფხაზური ცენტრის თავმჯდომარე **რიმა სუდაძე.** ორგანიზაცია წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას. ცენტრის საქმიანობა რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია ჩვენი ქვეყნისთვის, ამას მიღწეული წარმატებებიც მოწმობს.

აფხაზურმა ცენტრმა დამსახურებულად მოიპოვა „მშვიდობის ჯილდო ნომინაციაში – „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“. „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ დაწესებულია 2021 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ და ყოველწლიურად გადაეცემა ახალგაზრდას ან ახალგაზრდების ჯგუფს, მათ შორის – ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომლებსაც საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საკუთარი საქმიანობითა და აქტივობით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მშვიდობის მშენებლობისა და ომით გაყოფილი საზოგადოების წევრებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის, ასევე, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვის პროცესში.

აფხაზური ცენტრის წევრებს, აღნიშნული გამარჯვების ფარგლებში, საშუალება ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სტრასბურგის მსოფლიო დემოკრატიის ფორუმში და გაეჟღერებინათ ცენტრის ამოცანები და გამოწვევები. დემოკრატიის მსოფლიო ფორუმი არის უნიკალური პლატფორმა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და აქტივისტებისთვის, რათა განიხილონ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძირითადი გამოწვევები. აფხაზური ცენტრისთვის ფორუმში მონაწილეობა დიდი შესაძლებლობა და წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ფორუმზე, ხუთი დღის განმავლობაში, აფხაზური ცენტრის წევრები საუბრობდნენ მშვიდობაზე. ჩვენი პირველი კითხვაც სამშვიდობო გზავნილებს ეხება.

– რიმა, რატომ არის, თქვენი აზრით, მშვიდობა ერთადერთი გზა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში? სამშვიდობო გზავნილით რისი თქმა სურს აფხაზურ ცენტრს?

– მოგესალმებით. მივესალმები თქვენს ერთგულ მკითხველს. დიახ, სტრასბურგში ვიზიტი ერთ-ერთი უმთავრესი შესაძლებლობა იყო, მსოფლიოს გაეგო ახალგაზრდების ხმა. მშვიდობა არის ერთადერთი გზა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო: მშვიდობა იძლევა სივრცეს ნდობის აღსადგენად და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგის დასაწყებად. მშვიდობა უზრუნველყოფს ორივე მხარისთვის სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს, რაც განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და კულტურული ურთიერთგამდიდრების საშუალებას იძლევა. ქართველ და აფხაზ ხალხს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კავშირები აკავშირებს. მშვიდობის დამყარება მნიშვნელოვანია ამ კავშირების აღსადგენად და მომავალ თაობებს შორის ურთიერთობის გასაძლიერებლად.

აფხაზური ცენტრის მთავარი იდეა, მშვიდობის გზავნილის გავრცელებით, ისაა, რომ განსხვავებულ მხარეებს შორის მტრობა და დაპირისპირება ყველასთვის დანაკარგს მოიტანს მხოლოდ, ხოლო მშვიდობა შესაძლებლობას აძლევს ხალხებს, არა მხოლოდ თანაცხოვრება ისწავლონ, არამედ გაერთიანდნენ საერთო მიზნებისა და ინტერესების გარშემო. ასეთი გზავნილი აჩვენებს, რომ აფხაზური ცენტრი ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, შერიგებას და გრძელვადიანი, მდგრადი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც რეგიონის ყველა მცხოვრებისათვის სასარგებლო იქნება.

– სტრასბურგი იყო დიდი შესაძლებლობა, თქვენი გზავნილები საერთაშორისო ასპარეზზე გაგეხმიანებინათ. ჩვენ ვნახეთ მხოლოდ მცირე ნაწილი, ჩანაწერის საშუალებით. ხომ არ მოგვიყვებით, რა ვერ ვნახეთ და რა იყო მნიშვნელოვანი, რაც უკავშირდება სტრასბურგს?

– იცით, ეს გახლდათ მსოფლიო დემოკრატიის ფორუმი, სადაც ახალგაზრდები უმთავრეს ძალად ევლინებოდა მსოფლიოს. დამეთანხმებით, იმ რეალობაში, სადაც სამყარო ომისა და დაპირისპირების ქარ-ცეცხლშია გახვეული, სახეზეა აშკარა თუ შეფარული კონფლიქტები, სამშვიდობო საქმიანობა გადამწყვეტია მომავლის შენებაში. ამ ფორუმზე ყველას ჰქონდა საშუალება, თამამად და ღიად ეთქვა მსოფლიოსთვის თავისი მოსაზრება. სიმართლე რომ გითხრათ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ყველასთვის კარგად ცნობილი საკითხი იყო, თუმცა, მასზე ღიად საუბარი ახალგაზრდებისგან – მოულოდნელი. ჩვენ გვჭირდება მსოფლიო, რომელიც გვისმენს! ფორუმზე ვისაუბრეთ ყველა იმ ახალგაზრდის სახელით, რომელიც უმამოდ გაიზარდა. ყველა იმ მშობლის სახელით, რომელმაც დაკარგა შვილის ნახვის იმედი, ყველა იმ ადამიანის სახელით, რომელსაც ცხოვრების ელფერი დაუკარგა დაპირისპირებამ. ვთანხმდებით, რომ დროა შერიგების! დროა საუბრების! დროა გაგების და მიტევების! დროა ერთიანობის! არ მგონია, იქ მყოფთაგან ვინმეს უემოციოდ მოესმინა, როგორ ვითხოვდი მესხი ახალგაზრდა მშვიდობის ხელშეწყობას. გულით გვწამს, რომ ჩვენი ბედი ერთობა და სიყვარულია. დღეს თუ არა, ხვალ, ერთი თუ არა, ხუთი, ხუთი თუ არა, ათი წლის შემდეგ... ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ერთმანეთს, მანამდე კი ჯიუტი სიყვარულით განაგრძობს აფხაზური ცენტრი თავის საქმიანობას.

– მე ვიზიარებ თქვენს სულისკვეთებას, რომ სტრასბურგი იყო უმნიშვნელოვანესი და ასეთად დარჩება აფხაზური ცენტრის ისტორიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ არ გქონდათ შესაძლებლობა, შეხვედროდით აფხაზ ახალგაზრდებს. ეს სამომავლო გამოწვევაა. რას აპირებს აფხაზური ცენტრი ამ კუთხით?

– სიმართლე გითხრათ, ეს ის თემაა, რომელზე საუბარიც არამც თუ დაგვაღონებს აფხაზური ცენტრის წევრებს, არამედ ყოველ ჯერზე ახალი ენთუზიაზმით დიდი იმედებით გვავსებს. აფხაზურ ცენტრს ნამდვილად უდგას მნიშვნელოვანი გამოწვევები აფხაზ ახალგაზრდებთან შეხვედრისა და დიალოგის კუთხით, თუმცა, ეს გამოწვევები იქცევა შესაძლებლობად. ასეთი ინიციატივები და გეგმები შეიძლება მოიცავდეს: დისტანციური დიალოგის პლატფორმის შექმნას – აფხაზურ ცენტრს შეუძლია, ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შექმნას ონლაინ პლატფორმები, რომლებიც საშუალებას მისცემს ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს გაცვალონ იდეები, ისაუბრონ საერთო ინტერესებზე და განიხილონ რეგიონში არსებული გამოწვევები უსაფრთხო და ნეიტრალურ გარემოში. ცენტრს შეუძლია, ორგანიზება გაუწიოს რეგიონულ ან საერთაშორისო ფორუმებს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც აფხაზი, ისე ქართველი ახალგაზრდები. ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს ნდობისა და საერთო ინტერესების გაზიარებას. კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები შეიძლება გახდეს ეფექტური გზა ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების დასამყარებლად. კულტურის, მუსიკის, ისტორიისა და საერთო ღირებულებების გაცნობა ეხმარება ორივე მხარეს ერთმანეთის უკეთ გაგებაში.

აფხაზური ცენტრი შესაძლოა, მხარს უჭერდეს ადგილობრივ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდების შერიგებასა და თანამშრომლობაზე. მაგალითად, სპორტული ღონისძიებები, ახალგაზრდული ბანაკები ან სახელოვნებო პროექტები. უამრავ იდეას სწვდება ჩვენი მონდომება. მესმის, შესაძლოა ბევრი ადამიანისთვის შეუძლებლად ჟღერდეს ეს ყოველივე, თუმცა, გვერწმუნეთ, შემოგვიერთდით ამ დიდი და აუცილებელი მიზნისკენ მიმავალ გზაზე და სწორედ ისე აივსებით იმედის სიხარულით, შეუძლებელს შეძლებთ, როგორც თითოეული ჩვენგანი. უბრალოდ, საჭიროა თავად იგრძნოთ ეს ძალა, საკუთარ თავზე გამოცადოთ ის შრომა, რასაც თანამომძმის ჩახუტების ელფერი აქვს.

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ხმა. როგორ ფიქრობთ, რიმა, შეძლებს თუ არა ახალი თაობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუმჯობესებას?

– დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო აფხაზური ცენტრისა და ახალგაზრდების შესაძლებლობაზე. დიახ, ახალი თაობა არის უმთავრესი რგოლი იმ ჯაჭვში, რომელმაც უნდა გაამყაროს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. ეს ახალი ისტორიის სუფთა ფურცელია, ყველაზე სათუთი და მოსაფრთხილებელი განცდა. გერქვას ახალგაზრდა, ნიშნავს – შეძლო შეუძლებელი!

– ველოდი ასეთ პასუხებს. თქვენი აზრით, როგორი ემოციები აქვთ აფხაზებს ჩვენ მიმართ?

– იმ გადმოსახედით თუ ვიმსჯელებთ, როდესაც გვხვდება აფხაზ ხალხთან დაკავშირებული ფოტოები, ვეცნობით მათ პოეზიას, ტრადიციებს, ვისმენთ ლეგენდებს და ტანში ჟრუანტელი მივლის, ვფიქრობ, მათაც აუცილებლად ერთხელ მაინც სიამოვნებისა და სიამაყის ჟრუანტელი დაუვლით, როდესაც მოისმენენ, რომ ჩვენ ისინი გვახსოვს, გვიყვარს და ველით. არ შეიძლება დამ ძმა დაკარგოს! არ შეიძლება მასთან ერთად ვერ გაითენოს დღე!

– და დასასრულისთვის, რიმა, რომ შეგვეძლოს, სამი სიტყვით რას ეტყოდით აფხაზ ახალგაზრდებს?

– ბევრს არ ვისაუბრებ, აქ სიტყვები არა, ემოციები, გული საუბრობს. იცით – გვიყვარხართ, გვჭირდებით და გვეიმედებით!

– მადლობა საინტერესო პასუხებისთვის. აფხაზური ცენტრის სახელი დღითიდღე უფრო ცნობადი ხდება და იზრდება საზოგადოების მოლოდინიც. გისურვებთ წარმატებებს რთულ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს გზაზე.

ანა ბერიძე
იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი

მომავალი ვეტერინარი საინტერესო მიზნებით

ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებით ხორციელდება. აღნიშნულ პროგრამაზე მყოფი სტუდენტები გამორჩეულები არიან როგორც აქტიურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით, ასევე, მათ პროფესიაში არსებულ ყველა გამოწვევას მაღალ დონეზე ართმევენ თავს. ამჯერად, გვინდა ერთ-ერთ სტუდენტზე გიამბოთ, რომელიც გარდა იმისა, რომ დაინტერესებულია მაღალ დონეზე შეისწავლოს ვეტერინარიის სპეციალობა, მიიღოს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, ამ სფეროში გარკვეული მიღწევებიც აქვს. ნებისმიერ დროს, დღისით თუ ღამე, ის მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს თანასოფლელების პირუტყვს და ეს ყველაფერი დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით აკეთოს.

იშხან ვარდანიანი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტია. ამ სპეციალობაზე ჩაბარებამდე მან საინტერესო გზა განვლო. უნივერსიტეტში პირველი წელი ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ისწავლა, შემდეგ, სწავლა ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე გაგრძელა. პარალელურად, კოლეჯ „ოპიზარში“ ვეტერინარიის სპეციალობის დაუფლება გადაწყვიტა. უნივერსიტეტში ბიზნესის, ხოლო კოლეჯში ვეტერინარიის სპეციალობის შესწავლას ერთდროულად შეუდგა. ამ პერიოდში, კოლეჯიდან პრაქტიკაზე წასვლა შესთავაზეს. იშხანმა 6 თვე გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში გაატრა. შეისწავლა ბევრი რამ. **გერმანიიდან დაბრუნებული მივხვდი, რომ ჩემი პროფესია ვეტერინარია იყო. ამიტომ, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტიდან, შიდამობილობით, ამ სპეციალობაზე გადავედი.**

უნივერსიტეტში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა მისთვის ძალიან საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯიდან დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს მიღებული, უნივერსიტეტში სწავლა უმნიშვნელოვანესია, რადგან იღრმავებს თეორიულ ცოდნას. **გერმანიაში პრაქტიკა მესაქონლეობის მიმართულებით გავიარე. რაც კი რამ ეხებოდა ამ საკითხს, ყველაფერი დეტალურად შევისწავლე. უნივერსიტეტში სწავლის დროს მიადვილდება ბევრი რამ. ლექციებზე ვმსჯელობთ ბევრს. ჩემს კურსელებსაც ვუზიარებ ხოლმე მიღებულ გამოცდილებას. ვეტერინარიის კუთხით არის ბევრი განსხვავება ჩვენსა და გერმანიას შორის.** – გვეუბნება იშხანი, რომელიც ბევრი კარგი გამოწვევის წინაშე დადგა. სწავლის პარალელურად, გაზაფხულზე ორი შეთავაზება მიიღო. ერთი – ამერიკაში ორწლიანი სასწავლო პროგრამით წასვლას, მეორე – ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობის დაწყებას ეხებოდა. **მინდოდა ამერიკაში წასვლა, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ წავედი. ამიტომ ავირჩიე, მუშაობა დამეწყო. კომპანიას, რომელშიც დავსაქმდი, ევროპიდან შემოაქვს საკვები დანამატები მესაქონლეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის მიმართულებით. მე ვაკეთებ რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით.**

გარდა ამისა, იშხანი ფერმერებთან კონსულტაციებსაც მართავს. ურჩევს მათ, თუ რომელ პერიოდში რა საკვები დანამატები უნდა მიიღონ ცხოველებმა თუ ფრინველებმა. ასევე, ფერმერებს უწევს რეკომენდაციას, თუ როგორი უნდა იყოს, მაგალითად, მეხორცეული ჯიშის საქონლის დღის რაციონი და სხვა: **ვეტერინარიის მიმართულებით მაქვს გამოცდილება და ის ცოდნა, თუ როგორ ვუმკურნალო საქონელს. ფერმერებს ვეუბნები, თუ პრობლემა აქვს საქონელს, ჯერ უნდა უმკურნალოს, საკვები რომ შეერგოს ცხოველს“.**

იშხანს საქართველოში ბევრი ტრენინგ-კურსები აქვს გავლილი, ასევე, არის რამდენიმე კონკურსის გამარჯვებული. სამსახურიდან მიეცა შესაძლებლობა, ტრენინგები გაევლო ხორვატიაში: **იქ მერძეული მიმართულების ფერმები დავათვალიერეთ. ვნახეთ, როგორი მოქმედება ჰქონდა საკვებ-დანამატებს საქონელზე, როგორ იყო ფერმები მოწყობილი. დიდი გამოცდილება მივიღე. საქართველოში რომ ჩამოვედი, ეს გამოცდილება ჩემს მესაქონლეობაში დავნერგე, ასევე, რეკომენდაციები მივეცი ჩემი სოფლის მოსახლეობას. ჩემი ფერმიდან დავიწყე მუშაობა, თუ როგორ უნდა აშენდეს ბოსელი, როგორი უნდა იყოს ტემპერატურა, როდის უნდა მიეცეს საქონელს საკვები დანამატები. უკვე იციან ჩემმა თანასოფლელებმა – წყრუთელებმა, რომ ვეტერინარიის სპეციალობაზე ვსწავლობ და ხშირად მთხოვენ დახმარებას. ასევე, ჩემს ჯგუფელებსაც ვუზიარებ გამოცდილებას.**

მას სურს, მესაქონლეობის მიმართულებას გაყვეს. ამბობს, რომ უნივერსიტეტში მიღებულ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დაეხმარება, შედგეს სრულყოფილი, დიპლომირებული სპეციალისტი და გამოადგეს თავის მხარეს, სოფელსა თუ ოჯახს.

ლიკა ზაზაშვილი

მასწავლებლის ელფერი

„განათლება არის შეცნობა საკუთარი თავის და სწრაფვა შინაგანი სრულყოფისაკენ“

დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებული მარიამ ლონდარიძე უნდა გაგაცნოთ. გოგონა ფერადი ოცნებებითა და იმედებით.

– მოგესალმები, მარიამ. დავიწყოთ სულ თავიდან. ჩააბარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და... ჩვენს მკითხველს რომ უამბო შენს სტუდენტურ ცხოვრებაზე. რას ნიშნავს ეს პასუხისმგებლობა, რა შესაძლებლობებისა და ემოციების მომტანია ამ სტატუსის ტარება?

– მოგესალმები, მივესალმები გაზეთის ძვირფას მკითხველს. სულ სხვა სითბო აქვს მშობლიური უნივერსიტეტის კედლებს. იყო სტუდენტი, დიდი შინაგანი პასუხისმგებლობაა... ეს არის წლები, როდესაც პიროვნულად ყალიბდები. ილია ჭავჭავაძის არ იყოს – „ბეწვის ხიდია სიბნელესა და სინათლეს შორის გადებული“.

საოცარი გარემოა, კეთილგანწყობილი და ჰუმანური ლექტორებით. ეს ის დროა, როდესაც წამები უნდა შეაგროვო. ყოველი წუთი ძვირფასია, რადგან შინაგანად იზრდები და იხვეწები.

– მთავარი რჩევები სტუდენტებისთვის შენგან, როგორც კურსდამთავრებულისგან.

– მინდა სტუდენტებს ვურჩიო, რომ პირველ რიგში, იცოდნენ დროის ფასი და ეცადონ, რომ მაქსიმალურად დაიხარჯონ და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად.

– მარიამ, შენ იმ წარმატებულ კურსდამთავრებულთა სიაში ხარ, ვინც საკუთარი პროფესიით დასაქმება შეძლო. გვიამბე შენს საქმიანობაზე. როგორია მარიამ მასწავლებლის ერთი ჩვეულებრივი დღე.

– მასწავლებელს უნდა გქონდეს გახსნილი მესამე თვალი – ქრისტესმიერი, მოსწავლეს უნდა გრძნობდე შინაგანად.

ჩემი ერთი დღე? ყველა დღე რაღაცას მაძლევს, ახალ აღმოჩენებს ვაკეთებ ჩემს თავში, ვთვლი, რომ თუ გინდა სამყარო შეცვალო, უნდა დაიწყო საკუთარი თავით. როდესაც ჩემი მოსწავლის განვითარებას ვხედავ, თვითშეფასება უფრო მაღლდება; არ შეიძლება იყო მასწავლებელი და მუდმივად არ მუშაობდე შენს თავზე; ვესწრები ტრენინგებს, ვკითხულობ პროფესიულ ლიტერატურას; ჩავაბარე ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, სპეც. მასწავლებლის გამოცდა; პარალელურად ვმუშაობ სომხურენოვან მოსახლეობასთან და ვასწავლი ქართულ ენას. ბავშვებს უყვართ თამაშით სწავლა, ამიტომ ვცდილობ, ჩემი გაკვეთილი იყოს კრეატიული, რისთვისაც ვქმნი შემოქმედებით რესურსებს, სწავლის პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო რომ გავხადო. მე მიყვარს ჩემი საქმე და ვთვლი, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მუდმივი სწრაფვა წინსვლისკენ.

– ეს პასუხები ისეთი გულწრფელი და დასაფიქრებელია... თუ გქონია ეტაპი, როდესაც გიფიქრია, რომ აღარ შეგიძლია, გზა განაგრძო და რა ყოფილა შენთვის მოტივაცია?

– წინააღმდეგობების გარეშე ადამიანი ვერ დაიხვეწება. მე ეს უფრო მაძლიერებს, ჩემი მოტივაცია ჩემი უსაყვარლესი მოსწავლეები არიან. მათი სუფთა თვალები და სიყვარული უდიდეს ძალას მაძლევს.

– მარიამ, იყო მასწავლებელი, ნიშნავს...

– მასწავლებლობა მისიაა, უდიდესი პასუხისმგებლობა ... ეს განსაკუთრებით ეხება სიტყვიერების მასწავლებელს, რადგან, სახარებისა არ იყოს, „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა არის თავად ღმერთი...“ მასწავლებლად, ალბათ, უნდა დაიბადო. თუ ბავშვის სულში ჩახედვა არ შეგიძლია, თუ არ შეგიძლია მათი ტოლი გახდე, მათთან ერთად გიხაროდეს და მათთან ერთად გტკიოდეს, სკოლაში არ უნდა იმუშაო. ეს სულის ტაძარია, მასწავლებელი კი მოძღვარი.

– თავად თუ გისწავლია რაიმე შენი მოსწავლეებისგან?

– ყველა ბავშვი ინდივიდუალურია. დღევანდელი თაობა ძალიან ინფორმირებული თაობაა. მათთან ყოფნა დიდ ენერგიას მაძლევს; ყველა ბავშვში რაღაც საინტერესოს ვხედავ და მეც მათთან ერთად ვიზრდები.

– შეგიძლია, გაიხსენო შენი პროფესიული თავგადასავლებიდან ერთ-ერთი, ყველაზე დასამახსოვრებელი?

– ჩემთვის ყოველი დღე თითო თავგადასავალია... განსაკუთრებით მახსენდება ჩემი პირველი დღე სკოლაში, როდესაც მივხვდი, რომ მე მოსწავლე კი არა, უკვე მასწავლებელი ვიყავი. მახსენდება ბავშვების ცნობისმოყვარე და სუფთა თვალები, რამაც უდიდესი პასუხისმგებლობა გამიჩინა და მივხვდი, რომ მასწავლებლობა ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა...

– როგორ ფიქრობ, რა არის წარმატებისკენ მიმავალ გზაზე უმთავრესი.

– წარმატებისკენ მიმავალ გზაზე მთავარია გონიერება, სწრაფვა მიზნისკენ, ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა და შინაგანი მოტივაცია. ბავშვი სუფთა დაფაა და ჩვენ კი მას ვაყალიბებთ პიროვნებებად... ამიტომ უნდა ვიყოთ გულწრფელები და ტოლერანტულები.

– და ბოლოს, განათლება არის...

– განათლება არის შეცნობა საკუთარი თავის და სწრაფვა შინაგანი სრულყოფისაკენ. მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და იხვეწებოდეს. არ არსებობს ისეთი დღე, რომელსაც არ შეეძლოს რაღაც ახლის მოცემა, და თუ ეს ასე არ არის, ის დღე დაკარგულია. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ სამყარო უკეთესი გახადონ, რადგან ჩვენი ქვეყნის მომავალი მათ ხელშია.

– დიდი მადლობა, მარიამ, საინტერესო და გულწრფელი პასუხებისთვის. მიღწეული მიზნები და მოსწავლეების სიყვარულით მოციმციმე თვალების ცქერა მინდა გისურვო.

ინტერვიუერი რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი

„აღადგინე დაკარგული მეხსიერება“

სკოლის პერიოდიდან აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში, პროექტებში, რაც ზრდიდა ჩემს პიროვნებას, მმატებდა გამოცდილებას და მაძლევდა მეტ მოტივაციას. სწორედ ამ გამოცდილებამ მომცა შესაძლებლობა მიმეღო მონაწილეობა პროექტში „დადექი ისტორიის სწორ მხარეს“, რომლის განხორციელებაც 2024 წლის აპრილში დაიწყო.

ივნისში, პროექტის ორი საკონკურსო თემა გამოცხადდა. შემოვიკრიბე საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდები: **თათია ივანიძე** – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი, **სალომე გვამბერიძე** – ახალციხის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, **მარიამ სამარჯიშვილი** და **მარიამ მალვენოვი** – ქალაქ ვალის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე. დავიწყეთ მუშაობა. საკონკურსო თემად ავირჩიეთ – **„აღადგინე დაკარგული მეხსიერება“.**

თემის მიზნისა და შინაარსის განსაზღვრა მარტივი არ აღმოჩნდა. გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება. შევჯერდით, რომ ჩვენს თემაში ივანე და კონსტანტინე გვარამაძეებზე გვესაუბრა. ასევე, მესხეთში მოღვაწე სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებზეც. ინფორმაციის შესაგროვებლად რაბათის ბიბლიოთეკას ვეწვიეთ, ასევე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმს. დავათვალიერეთ ივანე გვარამაძის დანატოვარი, მოვისმინეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორისა და ისტორიკოსის **ნატო ყრუაშვილისგან** ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების ცხოვრების შესახებ. გავეცანით ქალბატონი ნატოს წიგნს და ამ თემასთან დაკავშირებით მასთან ინტერვიუც ჩავწერეთ.

გადავწყვიტეთ, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების მოღვაწეობის შესახებ შეგვექმნა ვიდეორგოლი. სამუშაო ჯგუფი ორად გაიყო, გადანაწილდა ფუნქციები.

გარდა ამისა, მოვიძიეთ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე სხვა საზოგადო მოღვაწეებზეც, რაშიც ისტორიკოსი ბატონი **რეზო ანდღულაძე** დაგვეხმარა.

უყურადღებოდ არც დღევანდელობა დაგვიტოვებია. ვეწვიეთ „ზარზმის აკადემიას“ და საზოგადოებას მათი საქმიანობის შესახებაც მივაწოდეთ ინფორმაცია.

ვისაუბრეთ, თუ რამხელა როლს თაშობს იგი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საკითხში. ამ ყველაფერზე ინფორმაცია ზარზმის წინამძღვარმა მამა ნიკოლოზმა მოგვანოდა. საბოლოოდ, შევქმენით ვიდეო, დავარიგეთ ბუკლეტები და მიმართვითი პოსტერები.

დადგა დღე, როდესაც პროექტის შედეგები უნდა გაგვეგო. მომლოდინე თვალებითა და აცახცახებული გულებით ვუმზერდით ტელევიზორს. გამარჯვებული გუნდის ვინაობა გადაცემა **„ლიტერატურულ სამკუთხედში“** უნდა გამოცხადებულიყო.

დაუვიწყარი წამები იყო, როდესაც გუნდის ლიდერის – თია ყულჯანიშვილის სახელი და გვარი გაჟღერდა. ეს დღე სიხარულის დაუვიწყარ წამებად იქცა და ჩვენივე ცხოვრების ისტორიის უხილავ ფურცელზე სამუდამოდ ჩაიწერა.

თია ყულჯანიშვილი
ისტორიის სპეციალობის
მე-2 კურსის სტუდენტი

თათია ივანიძე
ქართული ფილოლოგიის
სპეციალობის პირველი
კურსის სტუდენტი

„ჩემი მიზანია – საერთაშორისო დონეზე საუკეთესო განათლებისა და გამოცდილების მიღება“

ამ გახლავართ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსისა და, ამავდროულად, თურქეთის კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (T.C Kafkas Üniversitesi) პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი.

რა თქმა უნდა, რთულია ორ ქვეყანაში, ორ სხვადასხვა ფაკულტეტსა და სრულიად განსხვავებულ ენებზე ერთდროულად სწავლა. ამ გადანყვეტილების მიღება სპონტანური, თუმცაღა, საკმაოდ რთული იყო. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ არჩევანს ვერ ვაკეთებდი სამართალსა და დიპლომატიას შორის, რადგან ორივე ფაკულტეტი ძალიან მიზიდავდა და საკუთარ მომავალს ვხედავდი ამ ორ პროფესიაში. დავიწყე იმ გზების მოძიება, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა ამ ორი, ერთმანეთზე დამოკიდებული და, ამავდროულად, ძალზედ განსხვავებული პროფესიების შესასწავლად. ვინაიდან, საკუთარ ქვეყანაში, ერთსა და იმავე დროს, ორივეს შესწავლა შეუძლებელი იყო და თურქული ენა გარკვეულ დონეზე ვიცოდი, გადავწყვიტე, ჩამებარებინა მშობლიური და მეზობელი ქვეყნის უნივერსიტეტებში.

სკოლიდან უკვე კარგად ნაცნობ საქართველოს განათლების სისტემასთან შეგუება არც უნივერსიტეტში გამჭირვებია; ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს დეკანსა და თითოეულ ლექტორს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ჩემს დახმარებასა და ხელშეწყობას, რისთვისაც უაღრესად მადლიერი ვარ მათი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის.

ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, მიზეზი, თუ რატომ ჩავაბარე თურქეთში, გახლავთ ის, რომ თურქეთი განათლების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხი აქ საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული.

განათლების ფორმა ამ ორ ქვეყანას შორის სრულიად განსხვავებულია. მაშინ, როდესაც საქართველოს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს სალექციო, სასემინარო, საქვიზო და საგამოცდო პროცესებს, რაზე დაყრდნობითაც ხდება შემდეგ უკვე თითოეული კრიტერიუმით სტუდენტის შეფასება, თურქეთში გვაქვს მხოლოდ სალექციო და საგამოცდო პერიოდი და აქ შეფასება ხდება მხოლოდ შუალედური და ფინალური გამოცდების ქულებით, რაც, ჩემი აზრით, უფრო ართულებს მთელ ამ პროცესს. გარდა ამისა, თურქეთში სემესტრულად საგნებისა და, შესაბამისად, კრედიტების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება საქართველოში ათვისებული საგნების ოდენობას.

ჩემი დღე იწყება დილის ცხრა საათზე, როდესაც მაქვს პირველი ლექცია, რომელიც გრძელდება სამი საათი. ამის შემდეგ გვაქვს ერთ საათიანი შესვენება, თუმცა, ამ პერიოდში სტუდენტები ვერ ვტოვებთ უნივერსიტეტს დროის სიმცირის გამო. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტს აქვს განცალკევებული შენობა, სადაც არის მხოლოდ სასადილო, როგორც სტუდენტებისთვის ასევე ლექტორებისათვის. გარდა ამისა, დაწესებულების უზარმაზარი ტერიტორიის სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებულია რამდენიმე კაფე. შემდეგ, პირველი საათიდან ოთხ საათამდე, მიტარდება მეორე ლექცია. ფაქტობრივად, დროის უმეტეს ნაწილს აქ ვატარებ, თავისუფალ დროს კი ვცდილობ მეგობრებთან ერთად განტვირთვასა და სხვადასხვა აქტივობით დაკავებას.

თურქეთში მაქსიმალურად ვცდილობ საკუთარი ქვეყნისა და ჩვენი უმდიდრესი კულტურის წარმოჩენას. სხვადასხვა პროექტებით ცნობიერების ამაღლებას საქართველოს შესახებ, როგორც თანატოლებში, ასევე, უფროსებში.

სხვა ყველაფერთან ერთად, განათლება არის ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მოხარული ვარ, რადგან ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებში განათლებას ვიღებ საკუთარ სფეროში წარმატებული პროფესორებისაგან, რომელთაც არაერთ მაღალ თანამდებობაზე აქვთ სამუშაო გამოცდილება მიღებული, როგორიცაა მოსამართლე, გამომძიებელი, ადვოკატი და სხვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, ხოლო თურქეთში პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე დიპლომატიური მრჩეველი, თურქეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი გაეროში, პოლიციის რეგიონული განყოფილების უფროსი და ასე შემდეგ.

ჩემი მიზანია – ჩვენი ქვეყნის სამართლის სისტემის სიღრმისეული შესწავლა, საერთაშორისო დონეზე საუკეთესო განათლებისა და გამოცდილების მიღება, რათა მიღებული ცოდნა შემდგომ გამოვიყენო და შევძლო მისი ადაპტირება ქართულ რეალობასთან, შევთავაზო ახალი ხედვები ჩემს ქვეყანას განვითარებისა და უკეთესი მომავლისათვის.

მარიამ გოლქვაძე
იურიდიული ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

ბლიც-ინტერვიუ მარიამ საანიშვილთან

„შემოქმედებაში განფენილი სულიერება“

– მარიამ, პირველ რიგში მინდა ღრმა პატივისცემა გამოვხატო შენდამი. მრავალმხრივ განვითარებული, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ადამიანი ხარ, თუმცა, ვფიქრობ, შენი რეალური პიროვნული სიღრმე მარტივი აღსაქმელი არ არის. მოდი დავიწყოთ.

– ბავშვობაში ვოცნებობდი...

– ვყოფილიყავი წარმატებული.

– მე (არ) ვარ...

– ჯერ არ ვარ ის, ვინც მინდა, რომ ვიყო.

– ჩემში ცხოვრობს „მარიამი“, რომელსაც...

– არავინ არ იცნობს, თითქოს ეს ბუნებრივია, მაგრამ ის, ვინც ფიქრობს, რომ მიცნობს, ცდება. არ ვარ საკმარისად ღია და ხილული, რომ ვინმემ ასე აშკარად და მარტივად შემისწავლოს. ვფიქრობ, რომ იცოდნენ რეალურად ვინ ვარ და როგორი ვარ, სხვა თვალით შემომხედავდნენ, თუმცა, არასდროს მქონია სურვილი, რეალურად მიცნობდეს ვინმე, მგონია, ასეთ დროს მუდამ გულნატკენი დავრჩები.

– ალტერნატიულ სამყაროში ვიქნებოდი...

– დიდი მწერალი, მხატვარი ან მოაზროვნე, ფილოსოფოსი.

– პარალელური განზომილება, ყოფა...

– არ წარმომიდგენია ფერადი და ხალისიანი. ალბათ, იქაც მოვძებნიდი ტკივილს, სევდასა და შიშს, რაღაც ისეთს, რაც იქნებოდა ჩემი შთაგონების წყარო.

– უნივერსიტეტს მიღმა...

– მაქვს უამრავი ინტერესი და ერთადერთი უარყოფითი არის ის, რომ საკმარისი დრო არ მაქვს, ყველაფერს დავეუფლო და განვავითარო.

– თავისუფლება...

– თეთრი ფერისაა. მთავარი ფერი შავია ჩემთვის, მაგრამ თავისუფლება თეთრია.

– წარმატება...

– არის ის, რომ საყვარელმა ადამიანებმა ჩემით იამაყონ, ამაყობენ ახლაც, მაგრამ იამაყონ მომავალშიც.

– საკუთარ თავს ყოველთვის ვახსენებ...

– უფალს მივენდო.

– იმედი არის...

– ღმერთი.

– უპირობოდ მჯერა...

– ჩემს ღრმა სურვილებს ავიხდენ.

– სულიერი სიმშვიდე არის...

– ოჯახი და უფალი.

– ყოფით ცხოვრებაზე ფიქრისას ვაანალიზებ, რომ...

– ხანდახან, ყველაფერი ძალიან უსამართლოა.

– ჩემი მთავარი სურვილი არის...

– ცხოვრების ბოლომდე შევინარჩუნო ადამიანობა.

– რეალობას გავურბივარ, როდესაც...

– ის სასტიკია. როდესაც რეალობა არ არის ის, რაც უნდა იყოს, ეს ძალიან რთულია, მაგრამ ხშირად მიწევს მიღება. ასეთ დროს შემოქმედების ჩრდილს ვეფარები.

– ჰორიზონტის მიღმა ყურებისას...

– ვფიქრობ ადამიანებზე, შემოქმედებაზე, ცხოვრებაზე, ახალ იდეებზე, უფალზე, საკუთარ თავზე. ასეთ დროს აუცილებლად მივმართავ ინტროსპექციას.

– საკუთარი ანარეკლის დანახვისას...

– ვეკითხები საკუთარ თავს – ვინ ვარ? მისი პასუხი კი ყოველთვის სხვადასხვაა.

– უპირატესობას ვანიჭებ...

– ხალხმრავალ ადგილს, მიყვარს ხმაურიანი, ის ადგილები, სადაც არ წყდება ხმა.

– წყენა ჩემში ბადებს...

– სევდას.

– ემოციები ჩემში იღვიძებს...

– როდესაც ვქმნი, ვეხები ჩემს სიღრმისეულ გრძნობებს.

– იდეა არის...

– სიახლე. სიახლის გარეშე ადამიანი ვერ განვითარდება. იდეა ბადებს მომავალს.

– უმეტესწილად ვხედავ...

– ბნელ ფერებს. ჩემი ფერები ყოველთვის მუქია. განსაკუთრებით შავ ფერს ვხედავ, ის ჩემთვის შემოქმედების ფერია, ბადებს იდეას, ამავდროულად, ზოგჯერ ხალისიანიცაა, თუმცა, უმეტესწილად მაინც დარდით აღსავსე და შიშისმომგვრელი, ეს ხშირად ინსპირაციას მაძლევს. ჩემი შემოქმედებაც ბნელია.

– ჩემთვის სამართალი აღიქმება, როგორც...

– ჩემი შემოქმედება.

– საკუთარი შემოქმედება არის...

– ჩემი სამართალი.

– ვიცი, რომ მომავალში...

– არაფერი ვიცი მომავლის შესახებ. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მინდა ვიცოდე, ღმერთს ვთხოვ, რომ რამენაირად გამაგებინოს, რა მელის, მაგრამ არაფერი ვიცი... თუმცა, რეალურად, არც მინდა ვიცოდე. როდესაც იცი, ინტერესს კარგავს.

– სამყაროში ყველაზე აბსურდული რამ არის...

– თავისთავად ის, რომ ზოგჯერ კარგი ადამიანებიც კვდებიან, განსაკუთრებით ისეთ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც დაავადებით იტანჯებიან, მაგრამ ამას არ იმსახურებენ. ვამბობთ, ყველაფერი ღმერთის ნებაა, მაგრამ მაინც მაწუხებს ის კითხვა, თუ რატომ იღუპებიან და იტანჯებიან ასეთი ადამიანები?! ამაზე ჯერ არავის აქვს პასუხი, მათ შორის, არც მე.

– შემოქმედების სიმის პირველი შეხება ვიგრძენი...

– ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვიყავი შემოქმედი, მაგრამ ეს სამი ნიჭი დაახლოებით 14 წლის ასაკში აღმოვაჩინე და დღესაც ვცდილობ, რომ ვპროგრესირდე, ეს აუცილებელია, თუ ვარ კარგი, უნდა გავხდე უკეთესი.

– ხატვის ინსპირაციას მაძლევს...

– ყოველთვის – ყველაფერი. ხატვის ინსპირაცია შეიძლება იყოს ადამიანის მოქმედება, სიტყვა, აზრი. ზოგადი თუ კონკრეტული გარემოებები.

– ინდივიდუალიზმს ვავლენ...

– როდესაც ჩემი შემოქმედების ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს. ჩემი შემოქმედება ყოველთვის მაგრძნობინებს, რომ რაღაც ახალს, ღირებულსა და გამოსადეგს ვქმნი არა მატო ჩემთვის, არამედ, ზოგადად, ადამიანებისთვის.

– ცხოვრებას რომ თავიდან ვიწყებდე...

– არაფერს შევცვლიდი, საერთოდ – არაფერს. როგორიც ვარ, როგორი ცხოვრებაც მაქვს, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ოჯახისა და უფლის წყალობით.

– ცვლილებას ვგრძნობ...

– ძირითადად, მაშინ, როდესაც პიროვნულად მე ვიცვლები და არა გარემოებები. როდესაც ჩემში ხდება გარდაქმნა, რაღაც ახლის შემოსვლა.

– სირთულე ჩემთვის...

– სირთულეებს ისე შეგუებული არ ვარ, რომ ვთქვა, ძალიან ძლიერი ვარ-მეთქი, თუმცა, რთულ სიტუაციაში ყოფნისას ვცდილობ ადამიანებთან მქონდეს ურთიერთობა. ვფიქრობ, სირთულეს სჭირდება კომუნიკაცია.

– პრაგმატულ ყოველდღიურობაზე ფიქრისას ვხვდები, ვაანალიზებ, რომ...

– რაღაც საკითხებს ვერ გაექცევი. თუ გინდა, რომ რაღაც უბრალო და ზედაპირული არ იყოს, თავად უნდა გახადო ის საინტერესო.

– ყოველთვის მზად ვარ ვიმსჯელო...

– ადამიანის ბუნების შესახებ. ლექსების უმეტესობაც ამ თემის ირგვლივ მაქვს შექმნილი, პიროვნების გაცხოველებასა და მის სხვადასხვაგვარ სახეცვლილებაზე ვსაუბრობ. ვცდილობ, ვიპოვნო და შემდეგ სხვებს ვაპოვნინო ჭეშმარიტება.

– შემოქმედება იბადება, როდესაც...

– სიბნელეში მარტო ვზივარ.

– შემოქმედებით პროცესში...



– ერთი ლექსი მაქვს იმაზე, რომ ვგრძნობ, წინა ცხოვრებაშიც ვარსებობდი სადღაც, ტრაგიკულად. ამიტომ, როდესაც ვწერ, ვგრძნობ, რომ სხვა ადამიანი ვარ, ორი ცხოვრების მოზიარე; ამ დროს სხვა ადამიანი ვარ, სხვა გამოცდილებით. როდესაც ვამთავრებ და ვწყდები, კვლავ ვუბრუნდები ჩვეულ მდგომარეობას.

– საკუთარ შემოქმედებაზე საუბრისას...

– აღმაფრენას განვიცდი. სიამაყის შეგრძნება მაქვს. ვფიქრობ, რომ ღირებულია.

– სევდას იწვევს...

– ჩემივე შემოქმედება.

– ჩემში ემოციას იწვევს...

– ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ ხდება.

– ვიღიმი, როდესაც...

– როდესაც ბედნიერი ვარ.

– ადამიანი რწმენის გარეშე...

– თითქოს, არ არსებობს ადამიანი, ვისაც რაღაცის არ სწამს. შეიძლება არ გწამდეს უფლის, მაგრამ იქნება რაღაც, რისიც გწამს და გჯერა, თუნდაც არა რელიგიური.

– დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ...

– ასე დაზუსტებით არაფრის თქმა შემიძლია. დროის მიხედვით ყველაფერი იცვლება, ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ვიმედოვნებ, რომ ჩემი შემოქმედება წარმატებას პოვებს.

– სულიერების გზა გადის...

– იქ, სადაც შემოქმედების გზა იწყება.

– მღერისას...

– ყოველთვის, როდესაც ვმღერი, ან რაიმე მელოდია მესმის, სხვა სამყაროში გადავდივარ. ირგვლივ ისეთი სამყარო იქმნება, როგორ მელოდიასაც ვუსმენ. ძირითადად, სიმღერის მელოდია მიქმნის იმ მომენტში განწყობას.

– სინათლეში სიბნელეს პოულობ ?

– კი, ერთი შეხედვით ჩემი შემოქმედება არის ბნელი, მაგრამ თუ ამ სიბნელეს გვერდით გაწევ, აუცილებლად ჩანს სინათლე.

– ტკივილი გქმნის თუ ქმნი?

– გამომდინარე იქიდან, რომ ტკივილისა და შიშის საფუძველი არ მაქვს, ალბათ, მე თვითონ ვქმნი მას.

– შემოქმედებას ბედნიერი ადამიანი ქმნის, თუ მას დაჰყვება ტკივილი?

– პირადი გამოცდილებით ვიტყვი, რომ უფლის წყალობით ძალიან ბედნიერი და იღბლიანი ადამიანი ვარ, თუმცა, ჩემი შემოქმედების ძირითადი ნაწილი ტრაგიკული და სევდიანია. ალბათ, ბედნიერ ადამიანსაც შეუძლია შექმნას ის.

– ფრაზა, რომელსაც ვეტყოდი სხვებს...

– არის ასეთი გავრცელებული ფრაზა – არასდროს დანებდე და ყოველთვის გქონდეს საკუთარი თავის იმედი. როგორ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის.

– ფილოსოფოსი, რომელსაც გავიცნობდი, არის...

– ამ დროში – ანა ქირიას, წარსულში – არისტოტელეს, ვეზიარებოდი მის აზრებს.

– გრძნობებს ფერები აქვს?

– ჩემთვის ფერები ყოველთვის უცხოა. ყოველთვის ვხედავ ყველგან შავ ფერს, მასზე დგას ჩემი შემოქმედება, მაგრამ არ დგას შინაგანი სამყარო. შავ ფერს შეიძლება დაჰკრავდეს სხვა ფერებიც, მაგრამ ძირითადად შავია.

– მარიამ, ძალიან დიდი მადლობა გულწრფელობისა და შენი სულიერი სიღრმის მკითხველისთვის გაზიარებისთვის. ვფიქრობ, თანამედროვე სამყაროში იშვიათად ვხვდებით ასეთ მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზმს. უამრავ წარმატებას გისურვებ ცხოვრებაში, ღრმად მწამს, კიდევ არაერთხელ გიხილავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მომავალი წარმატებით და არა მარტო.

ნატალია ვარდიძე

გაკვეთილი პირველკლასელთათვის

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსის სტუდენტმა **ცირა გოგოლაძემ,** სასწავლო კურსის „ეკოლოგიური წიგნიერების“ ფარგლებში (კურსის ხელმძღვანელი **თამრიკო ნარიმანიშვილი**), თემაზე – „წყალი“, ახალციხის №1 საჯარო სკოლის პირველკლასელებს გაკვეთილი ჩაუტარა.

მან, ფერადი და საინტრერესო რესურსების გამოყენებით, პირველკლასელთათვის მარტივად გასაგები თემა შეარჩია: **გაკვეთილზე გამოვიყენე ტექსტები, სლაიდები, ნაცნობი და მხიარული ფილმები, ფოტომასალა, ცდები და მაგალითები, რადგან დაწყებით საფეხურზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ჩვენმა პატარებმა ხალისით აითვისონ ახალი ინფორმაცია. ასევე, მოტივაცია ავუმაღლოთ მათ სასწავლო პროცესში, რათა მიღებული ინფორმაცია ცხოვრებაში გამოიყენონ. ვეცადე საინტერესო და დასამახსოვრებელი ყოფილიყო მათთვის ეს გაკვეთილი.**

გაკვეთილი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მოსწავლეები პასუხობნენ შემდეგ კითხვებს: რა არის წყალი? რისთვის ვიყენებთ წყალს? როგორია წყალი? რამდენად მნიშვნელოვანია წყალი ჩვენი სიცოცხლისთვის? როგორ გავუფრთხილდეთ წყლის რესურსს?

ამ ყოველივეს განხილვის შემდეგ, გამოვიყენე გლობუსი, რომლის საშუალებით ზოგადი წარმოდგენა შევუქმენი მოსწავლეებს, თუ როგორაა გადანაწილებული წყალი დედამიწაზე. შემდეგ, პროექტორით ვაჩვენე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თოვლის გუნდა.“ პარალელურად ვსვამდი კითხვებს, თუ რითი თამაშობდა გოგონა, როგორ მიიღება ყინულის ლოლო, რისგანაა გაკეთებული თოვლის გუნდა, რატომ დნება, რად გადაიქცა თოვლის გუნდა. – გვითხრა ცირამ.

გაკვეთილის შემდეგ ნაწილში პრაქტიკანტმა ჩაატარა ცდები. მოსწავლეებთან ერთად იმსჯელა, რომ წყალს არ აქვს სუნი, გემო, ფერი, ფორმა. ცირამ კიდევ ერთი მოკლე ფილმი შესთავაზა პირველკლასელებს – „წყალი და მისი თვისებები“, აჩვენა მაგალითები წყლის მოხმარების სწორი და არასწორი გამოყენების შესახებ. მოსწავლეებმა იმსჯელეს, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდნენ წყალს. დაისვა კითხვები – იყო თუ არა საინტერესო გაკვეთილი? რა გაიგეს მოსწავლეებმა ახალი? რამდენად მნიშვნელოვანი საჭიროების ყოფილა წყალი და სხვა.

გაკვეთილი როგორც მოსწავლეთა, ასევე, დამსწრე პედაგოგების მხრიდან დადებითად შეფასდა, რაც მეტყველებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტუდენტთა პრაქტიკის გავლის ხელშეწყობისთვის ახალციხის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის დირექციის როლი, რომელიც მუდამ გამოთქვამს მზაობას, ხელი შეუწყოს მომავალი პედაგოგის განვითარებას.

ლიკა ზაზაშვილი

„თეატრის ფარდის გახსნა ცხოვრების ჯარის გახსნასა ჰგავს“

ვესაუბრებით მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს ჯუნა თუმანიშვილს და მალხაზ შაყულაშვილს

– როგორ დაიწყეთ სამსახიობო კარიერა, ბავშვობიდან გქონდათ ქვეცნობიერი სწრაფვა სცენისკენ თუ ეს უფრო მოზრდილ, გაცნობიერებულ ასაკში მოვიდა თქვენთან?

– ჯუნა: საკუთარი თავი ამ ამაღლებულ ადგილას პატარაობიდანვე მახსოვს. სცენა იყო და არის ადგილი, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. მსახიობობაზე ფიქრი და ოცნება ძალიან პატარა ასაკში დავიწყე. ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ ბოლომდე გაცნობიერებული არც უნდა მქონოდა მისი მნიშვნელობა, მაგრამ ქვეცნობიერად მხოლოდ ეს პროფესია მინდოდა, მუდამ ამაზე ვოცნებობდი და ამისკენ ვისწრაფოდი. მსახიობობის გარდა არასდროს არაფერი მდომებია.

– მალხაზი: სცენაზე დგომის სურვილი, დაახლოებით, ათითერთმეტი წლის ასაკში გამიჩნდა. თავიდან სასკოლო საღამოებში ვიღებდი მონაწილეობას, კარგად ვკითხულობდი ლექსებს, თხრობის უნარიც კარგი მქონდა და, საბოლოო ჯამში, დამსახურებულმა აპლოდისმენტებმა მიბიძგა და დამარწმუნა, რომ ჩემი ადგილი სცენაზეა. მგონი, არც შევმცდარვარ.

– როგორ გაიხსენებთ პირველ პერსონაჟთან კავშირს, როგორი იყო როლზე მუშაობის პროცესი?

– მალხაზი: პირველი პერსონაჟი თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კურსზე ყოფნისას შევქმენი. დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ ვიქტორის როლი მქონდა. როლის აგების პრინციპიც ამ პერსონაჟზე მუშაობისას ვისწავლე. მივხვდი, რომ მისი შექმნა პერსონაჟის ბავშვობის შეთხზვიდან უნდა დაიწყო და შესაბამისად გაამართლო მისი კონკრეტული საქციელი.

– ჯუნა: პირველი როლი, რომელიც ვითამაშე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებიდან – „მე ვხედავ მზეს“, ახალგაზრდა, უსინათლო გოგონას ხატიას როლი იყო. მაშინ მეორე კურსზე ვიყავი, ამ ასაკში ასეთი როლის შესრულება ძალიან დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის. მას შემდეგ სულ ასეა – როლებს შეჯიბრში ვიწვევ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თუ შევძელი და სრულყოფილად ვითამაშე, მე მათ ვამარცხებ, სცენიდანაც გამარჯვებული გამოვდივარ. ჩემს პროფესიაში ყველაზე დიდებული წამები და მომენტები სწორედ ამ გამარჯვების შეგრძნებაა.

– გყოლიათ, ან გყავთ ისეთი ვინმე, ვინც თქვენთვის მაგალითი იყო კარიერის დასაწყისში, ან ახლა როლური მოდელია?

– ჯუნა: რა თქმა უნდა, მყოლია და მყავს, მაგრამ არ დავასახელებ, არ ჩამოვთვლი მათ სახელსა და გვარებს.

– მალხაზი: ჩემთვის უნიკალურ არტისტად დღემდე ბატონი ზურაბ ყიფშიძე რჩება. ასევე გამოვყოფდი ჟან გაბენს, მარლონ ბრანდოსა და ჰიტ ლეჯერის.

– გქონიათ განსაკუთრებულად რთული ან კრიზისული პერიოდი, რომელმაც გაგზარდათ და, ამასთან, შეგცვალათ, როგორც მსახიობი?

– ჯუნა: ასეთი პერიოდები მუდამ იყო და არის. ეს ყველაფერი მსახიობის პროფესიაში გულისცემასავით ხშირია, მაგრამ ამ ყოველივეს ჩემსავე სასიკეთოდ ვიყენებ. ჩემი ცხოვრების თითოეულ შთაბეჭდილებასა და დრამატულ მომენტს როლად გარდავქმნი.

– მალხაზი: თითქმის, შვიდწლიანი შემოქმედებითი პაუზა მქონდა, რომელმაც ძალიან ბევრ რამეზე დამაფიქრა. ჩემს მეგობარს – თამუნა ნიკოლაძეს დავესესხები და ვიტყვი, რომ ამ დროს, როგორც არტისტს, ძალიან ბევრი შეგრძნება დამიგროვდა... მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არ ვიდექი, თითოეულ მიმიკას, შეგრძნებასა თუ პოზას ვიმახსოვრებდი და გონებაში ვინახავდი, რაც დამეხმარა შემდგომში, მუშაობის პროცესში, როცა დავბრუნდი სცენაზე.

– ყველაზე ხშირად რა სირთულეს აწყდებით როლზე მუშაობისას და ვინ არის მოტივატორი მათი გადალახვისთვის?

– მალხაზი: ასი წლის განმავლობაში, სცენაზე დგომის მიუხედავად, მსახიობის მაქსიმუმ ხუთი სერიოზული სახე შეიძლება გაგვახსენდეს, მაგრამ მე როცა სახეს ვქმნი, არ მინდა ერთს მეორესთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, ვგულისხმობ ხმას, მიმიკას და ასე შემდეგ. ამას მე ვწყვეტ და ჩემს მეუღლეს მუდამ ვეკითხები აზრს – ხომ არ მიდის როლი რომელიმე წინა, ნათამაშები სხვა როლებისკენ.

– ჯუნა: სამწუხაროდ, აქ მარტო ხარ... ერთადერთი მოტივატორი საკუთარი ნიჭი და ადამიანების განსახიერების უნარია. არის პიესები, სადაც მკაფიოდ არ არის გამოვლენილი გმირის ხასიათი. აი, სწორედ აქ იჩენს ხოლმე სირთულე თავს; ამ დროს პერსონაჟის ხასიათი არა მხოლოდ სათამაშო, არამედ გამოსაგონებელიცაა, მე ამ პროცესს ადამიანის შექმნას ვადარებ.

– ხელოვნების სხვადასხვა დარგში მაგალითად ლიტერატურასა და მხატვრობაში, თითქოს არიან პერსონაჟები, რომლებიც „დამოუკიდებლობას“ იძენენ და შემდეგ ავტორს უჭირს მათი იმგვარად განვითარება, როგორც სურს. არსებობს მსგავსი რამ ამ სფეროში? გიმუშავიათ პერსონაჟზე, რომელმაც თქვენგან დამოუკიდებლად „პიროვნულობა“ შეიძინა?

– ჯუნა: რა თქმა უნდა, ყველა პერსონაჟი, რომელიც მითამაშია, დამოუკიდებელი ინდივიდია შექმნისთანავე. ისინი დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას, მათ სიზმარშიც კი ვხედავ...

– მალხაზი: დიახ, ყოფილა მსგავსი რამ... პერსონაჟის შექმნის ბოლო პერიოდში თავად მას უკარნახია განვითარების ნაბიჯები და საბოლოოდ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვსულვართ.

– რა განცდაა, როდესაც სცენაზე, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, წყვილი ხართ?

– ჯუნა: სპექტაკლების უმრავლესობაში ერთად ვთამაშობთ, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის პროცესში ბევრს ვჩხუბობთ, ვფიქრობ, რომ იგი ჩემი საუკეთესო სცენიური პარტნიორია. ან კი როგორ შეიძლება ასე არ იყოს, როდესაც სცენაზე შემიყვარდა...

– მალხაზი: მე და ჯუნას ხშირად გვიწევს ერთ სპექტაკლში თამაში და პირდაპირ გეტყვით, რომ ნიჭიერ ადამიანთან არც თანაცხოვრება და არც თამაში არაა მარტივი, მაგრამ მეორეს მხრივ ნიჭიერებასთან თანხვედრაში მოსული ხასიათის, გონებისა და ბუნების მრავალფეროვნება ამ ყველაფერს ერთიანად საოცარ სიამოვნებასა და აზარტულს ხდის.

– მართალია, აუცილებელია საქმისა და პირადი ცხოვრების გამიჯვნა, მაგრამ თქვენ არა მარტო უთავსებთ ერთმანეთს, არამედ ძალიან კარგად ართმევთ თავს. როგორ ახერხებთ ამ ყოველივეს?

– მალხაზი: მე და ჩემი მეუღლე ერთი დასის წევრები ვართ და თუ არა კონკრეტული სურვილი საქმეში ერთმანეთის დახმარებისა და გარკვევისა, ერთმანეთს საკუთარი ნააზრევით არ ვაწუხებთ, თავს არ ვახვევთ.

ჯუნა: სიყვარულით. საქმისა და ოჯახისადმი ერთნაირი, დიდი სიყვარულით, პასუხისმგებლობის გრძნობასთან ერთად, რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ეს ორი გრძნობა არ მოგცემს უფლებას, სადმე დააკლო საკუთარი თავი. გამიჯვნა აუცილებელია. ჩვენ პროფესიაში მხოლოდ ერთი დასის წევრები ვართ.

– როდესაც საქმეში „საკმარისად კარგები“ ვერ ვართ, გვიჩნდება სურვილი, მნიშვნელოვანი, გვერდით მყოფი ადამიანისგან მხარდაჭერა მივიღოთ? ამ მხრივ რთულია პროფესიული „ნუგეშისცემა“, თუ პირიქით, საქმის სრული ცოდნა ამარტივებს მხარდაჭერის პროცესს?

– მალხაზი: მუდამ ვარ ჩემი მეუღლის სწორი და მართებული რჩევის მოლოდინში, ასეთი რამ უკვე ათასგზის გამოცდილი გვაქვს ურთიერთობაში. იგი ჩემი საუკეთესო მრჩეველი და ყველაზე დიდი მეგობარია. თუნდაც იყოს ისე, რომ რაღაც მომენტში არ ვეთანხმებოდე და ვეწინააღმდეგებოდე, მისი რჩევა მაინც ყოველთვის მართებულია. დარწმუნებული ვარ ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ჯუნას ჩემთან მიმართებით.

– ჯუნა: ჩემთვის ამ ყველაფერს შემდეგი ახსნა აქვს – ეს არის პროცესი, მოვლენა, როდესაც ცხრაკლიტულს მიადგები და ამ დროს იცი შენს გვერდით არის ადამიანი, ვისაც ყველა გასაღები ხელში აქვს, მხოლოდ შენს ძახილს ელოდება. მაგრამ უცერემონიოდ არ ვერევით ერთმანეთის საქმეში; ველოდებით, თუ დავჭირდით ერთმანეთს, გვერდით ვართ.

– ერთ-ერთი თეორიის თანახმად ადამიანი გაუცნობიერებლად მუდამ ისწრაფვის, რომ მეორე ნახევარს საკუთარი საქმიანობით მოაწონოს თავი და მისი სიმპათია დაიმსახუროს? ეს სცენაზეც ასეა?

– ჯუნა: არა, ასეთი რამ დაუშვებელია. როგორც კი ამაზე ფიქრს იწყებ, შენ აღარ ხარ თეატრში, ასეთ დროს ეს უბრალოდ პოდიუმია.

– მალხაზი: რა თქმა უნდა, ყოველივე საუკეთესოს მას ვუძღვნი. გულის ფანცქალით ვათვალიერებ ხოლმე პარტერში სად არის... ზოგჯერ თამაშის დროსაც მომიკრავს მისი სილუეტისთვის თვალი.

უკვე შვიდი წელია, რაც ოჯახი ვართ და ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, როდესაც არ გავპრანჭვივარ, მაგრამ თამაშის დროს... როგორ გითხრათ, ეს სულ სხვა განზომილებაა, სცენაზე ვერ გაიპრანჭები.

– მე, როგორც რიგით მაყურებელს, სპექტაკლის მსვლელობისას ხშირად რეალურობის აღქმის განცდა მიქრება, ვგრძნობ, თითქოს იმ სამყაროში ვარ, რომელიც სცენაზეა, „სხვა განზომილებაში“ ვხვდები. თავად თქვენთვის, მსახიობებისთვის რა პროცესია ეს, რა გრძნობასთან ასოცირდება სცენაზე დგომა და ასეთი მაღალი ოსტატობით თამაში?

– მალხაზი: უდიდესი სიამოვნებაა, როდესაც გრძნობ, რომ რეალობას მოწყვეტილი ხარ. ამა თუ იმ პერსონაჟსა და ეპოქას ქმნი, საკუთარ სხეულში აცოცხლებ. ამ პროცესში გრძნობ, რომ მაყურებელს შენი პერსონაჟი აღაფრთოვანებს და ეს ყველაფერი ძალას გმატებს.

– ჯუნა: გარდასახვა და დროებით „სხვის ტყავში“ შეძრომა იმ აუცილებელ საქმედ მექცა, რომლის გარეშეც ვეღარ ვცოცხლობ. იყო ამდენი სხვადასხვა, განსხვავებული ადამიანი და ბოლოს მაინც პირადი მე შეინარჩუნო, რთულია. ამ ყველაფერს ძალიან დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება ინდივიდუალიზმი! მსახიობობა ჩემთვის ნიშნავს ავხსნა, გადმოვცე, რას ნიშნავს იყო ადამიანი, ცხოვრების მსგავსად არც ეს საქმე არ არის სწორხაზოვანი. ის უამრავ ემოციას აერთიანებს – სიხარულს, ტკივილს, სიცილს, ტანჯვას... ყველა ამ ემოციის გამოხატვა უდიდესი სიამოვნებაა. თუ ამისგან სიამოვნებას ვერ იღებ და დაძაბული ხარ, გამოდის, შენს ადგილას არ ხარ. აქ მხოლოდ იმ ადამიანების ადგილია, ვინც ამ საქმისთვის დაიბადა. გარდასახვა მსახიობისთვის აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომლის დროსაც მიღებულ სიამოვნებას აქვს ძალა, ყოველგვარი ტკივილი მომენტალურად დაავიწყოს ადამიანს.

– თქვენი ნამდვილი „მე“ ყველა პერსონაჟში თანაბრად გადადის თუ გააჩნია როლსა და მის სახასიათო თვისებებს?

– ჯუნა: არიან პერსონაჟები, რომლებიც „გიტანენ“ და ახერხებ მათში საკუთარი ნაწილის ჩადებას, მაგრამ არიან სხვა პერსონაჟები, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავებულები არიან, ასეთ როლზე მუშაობისას პირიქით ხდება; რაც შეიძლება, შორს უნდა გაექცე საკუთარ თავს.

– მალხაზი: გააჩნია იმას, თუ როლი რამდენად წააგავს ჩემს პიროვნებას, თუმცა, საბოლოო ჯამში ადამიანი, მაინც, თავისი გრძნობისა და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ქმნის პერსონაჟის სახეს.

– თუ გაქვთ პერიოდი, როდესაც პროფესიული ცხოვრებისგან ცოტა ხნით შორს ყოფნა გინდათ და თუ – კი, როგორ ახერხებთ ამას?

– ჯუნა: ამ ყველაფრისგან შორს ყოფნა არასდროს მდომებია, მაგრამ მიწევს... ახლაც ზუსტად ეს პერიოდი მაქვს, ამ სიცარიელეს განვიცდი, მაგრამ ბრწყინვალე გამოსავალი ვიპოვე – მოზარდებისთვის თეატრალური სახელოსნო გავხსენი და თავიდან ბოლომდე ამით ვარ მოცული. ბავშვებისგან ძალიან დიდ ემოციებს ვიღებ, მათი ანთებული თვალების ყურება მსიამოვნებს, ეს დიდი ბედნიერებაა.

– მალხაზი: ძალიან იშვიათად ვარ საქმის გარეშე, რის გამოც უფლის ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ ამის მიუხედავად აუცილებელია, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანმა, მათ შორის, მსახიობმა, დაისვენოს, რათა არ გამოიფიტოს. ასეთი პაუზების, შესვენების პერიოდში დროს ოჯახსა და მეგობრებთან ერთად ვატარებ.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ კორტი, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, ვარსენიკ ვართანიანი, თენგიზ მელიქიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge